ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## 23 მარტიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

### თომას კენილი
## შინდლერის სია

„შინდლერის სია“ ავსტრიელი ფაბრიკის მფლობელის, ნაცისტური პარტიის წევრ ოსკარ შინდლერის ნამდვილი ისტორიაა, რომელმაც უდიდესი რისკისა და თანხის ფასად თავის ქარხნებში მომუშავე ათასზე მეტი გეტოელი ებრაელი უეჭველი სიკვდილისგან იხსნა.

სტივენ სპილბერგის მიერ 1993 წელს გადაღებულმა მრავალი ოსკარის მფლობელმა ფილმმა „შინდლერის სიამ“ არაადამიანურ სისტემასთან ფარულად მებრძოლი ოსკარ შინდლერი მთელ მსოფლიოს გააცნო და შეაყვარა.




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ხუთშაბათი, 24 მარტი, 2016 | №70 (6996) | ფასი: 50 თეთრი

# ირაკლი ღარიბაშვილი „ქართულ ოცნებაში“ ბრუნდება?



გვ.2

„მე შინაგანად ყოველთვის მჯეროდა, რომ ირაკლი ისევ ჩვენთან იქნებოდა. ვილაცები ამბობდნენ, რომ ის ცალკე პარტიას შექმნიდა, მაშინაც ვამბობდი, რომ ასეც რომ მოხდეს, მაინც ჩვენთან იქნება“



## „თოფაძე ხიდაშელს ივანიშვილმა აუმხედრა“

გვ.3



მურმან დუმბაძე: „22 წელი რესპუბლიკელი ვიყავი“

## ზურაბ ჯორბენაძე: „მე ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც სახელებით, გვარებით, ადგილებით იცის, ვინ რას იღებდა“



გვ.5

ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს ხდებოდა ასეულობით, ათასეულობით ჩანაწერების გაკეთება თავისი გუნდის წევრებზე, თავისივე მაღალი თანამდებობის პირებზე და ასევე ოპოზიციაზე. წესით სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე უნდა ეგოთ პასუხი, სინამდვილეში ახორციელებდნენ მოსმენებს, თვალთვალს და აკეთებდნენ ჩანაწერებს და შეგროვებული ინფორმაციების დაფაილებას.

## ინტერპოლმა დათა ახალაიას მიმართ საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა

გვ.2



## ქართველების გამო ცხინვალი და ვლადიკავკაზი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ



გვ.2

## ბაჩუკი ქარდავა: „ჩვენ არჩევნების გერმანული მოდელით ჩატარებას ვითხოვთ“



გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## სრული უპასუხისმგებლო და კრიმინოგენური ვითარებაა მთავარ პროკურატურაში, პარლამენტში და პარლამენტის თავმჯდომარის გარემოცვაში — საჩივრებსა და მიმართვებს ბლოკავენ

გვ.6

# ირაკლი ღარიბაშვილი „ქართულ ოცნებაში“ ბრუნდება?

შორენა მარსაგიშვილი

**პარტია „ქართულ ოცნებაში“ დიდ ამბებს ელოდებიან. მისმა ლიდერებმა არაერთხელ თქვეს, ორგანიზაციას სერიოზულად გადავახალისებთო. არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ პარტიას სათავეში ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ჩაუდგებოდა.**

ეს ინფორმაცია მეოცნებეებმა კატეგორიულად უარყვეს, თუმცა არ გამორიცხავდნენ, რომ ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდებოდა. ამის შესახებ განცხადება მთავარ მოქალაქესაც აქვს გაკეთებული.

ირაკლი ღარიბაშვილის შესაძლო დაბრუნებაზე საუბრები გუშინ, 23 მარტიდან, ახალი ძალით განახლდა.

პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განაცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილთან კონსულტაციები გაიმართება.

– ჩვენ აუცილებლად გვექნება კონსულტაციები და ამ კონსულტაციების შედეგად გაირკვევა ის, თუ როგორი იქნება ყოფილი პრემიერის და თავმჯდომარის ჩართულობა ჩვენს სამომავლო საქმიანობაში, – განაცხადა კობახიძემ.



ამ ინფორმაციის გავრცელებას დიდი ამბები მოჰყვა. მეოცნებეთა ნაწილი ამ ამბავს სიხარულით შეხვდა. ნაწილს კი დიდად არ ესიამოვნა. როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირმა „ახალ თაობას“ განუცხადა, განსაკუთრებით რესპუბლიკელები დაღონდნენ.

მისივე ინფორმაციით, არაა გამორიცხული, ეს განცხადება სატყუარაც კი იყოს „ოცნების“ მხარდამჭერებისთვის. ბოლო ხანებში პარტიას ძალიან გაუჭირდა და ყველა აღიარებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს მაღალი რეიტინგი ჰქონდა. ისინი მის დაბრუნებას ითხოვენ. ჰოდა, ახლა შესაძლოა ამ ხალხს უთხრან, თქვენი დაკვეთა შევასრულეთ, მაგრამ ღარიბაშვილი არ დათანხმდაო.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ღარიბაშვილი მხოლოდ ლიდერის რანგში დათანხმდება დაბრუნებას. მას კი, შესაძლოა, რიგითი წევრობა შესთავაზონ.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ომარ ნიშნიანიძე ამბობს, რომ მას ღარიბაშვილის დაბრუნების იმედი ჰქონდა.

– მე შინაგანად ყოველთვის მჯეროდა, რომ ირაკლი ისევ ჩვენთან იქნებოდა. ვიღაცები ამბობდნენ, რომ ის ცალკე პარტიას შექმნიდა, მაშინაც ვამბობდი, რომ ასეც რომ მოხდეს, მაინც ჩვენთან იქნება. ახლა ითქვა, რომ მასთან კონსულტაციებს დაიწყებენ. ირაკლი ღარიბაშვილი საჭირო კაცია და მის დაბრუნებას ორივე ხელით მივესალმები, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში ომარ ნიშნიანიძემ.



პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური პოლიტიკაში ღარიბაშვილის დაბრუნებას მიესალმება.

მისი თქმით, ეს არა მარტო „ქართული ოცნებისთვის“, არამედ მთლიანად ქართული პოლიტიკისთვის იქნება სასარგებლო.

– ირაკლი ახალგაზრდა კაცია და რატომ უნდა გავიდეს პენსიაზე ასე ნაადრევად?! მასზე ორჯერ დიდი ვარ და პენსიაში გასვლას ჯერ მე არ ვაპირებ. ამიტომ იმასაც მივესალმები, თუკი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დამოუკიდებლად ჩაერთვება. „ქართულ ოცნებას“ არა აქვს იმის ფუფუნების უფლება, უარი თქვას პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი რეიტინგული პიროვნების მონაწილეობაზე, როგორიც არის ირაკლი ღარიბაშვილი, – აღნიშნა მეჭიაურმა.

◆ ◆ ◆

ყველაფერი პარტიის ყრილობამდე გაირკვევა, რომელიც აპრილში ჩატარდება. ზუსტი თარიღი ჯერ დაზუსტებული არ არის.

ყრილობაზე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ახალ თავმჯდომარეს აირჩევენ. აღნიშნულ პოსტზე პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურაა წარდგენილი და ირაკლი კობახიძე დარწმუნებულია, რომ დელეგატები მას ერთხმად დაუჭერენ მხარს.

რაც შეეხება პარტიის საარჩევნო სიას, კობახიძის თქმით, ჯერჯერობით კონსულტაციები მიმდინარეობს და ამ ეტაპზე ვერც ერთი სახელი და გვარი ვერ დასახელდება.

# ქართველების გამო ცხინვალი და ვლადიკავკაზი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

## ლეონიდ თიბილოვი მხარეებს ვერ აშოშმინებს

შორენა მარსაგიშვილი

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიას დედაქალაქი შესაძლოა სამხრეთელი და ჩრდილოელი ოსების დაპირისპირების არენად გადაიქცეს. ამაში კი დამნაშავეები ქართველები იქნებიან.

საქმე ის გახლავთ, რომ უახლოეს მომავალში ვლადიკავკაზს ანსამბლები „ბანი“ და „რუსთავი“ ეწვევიან. როგორც აქაური პრესა წერს, ქართველი ხელოვანების ვიზიტს ადგილობრივები მოუთმენლად ელოდებიან. ყველაფრის მიუხედავად, ამ ქალაქში ქართულ კულტურას დიდ პატივს სცემენ.

ქართული ანსამბლების კონცერტებზე დასასწრები ბილეთები თითქმის გაყიდულია. ამ ამბავმა ცხინვალელების აღშფოთება გამოიწვია და მათ ჩრდილოელებს მოსთხოვეს დაგეგმილი ღონისძიებების გაუქმება.

ჩრდილოელებს სამხრეთელთა მხრიდან ულტიმატუმის ტონით საუბარი არ მოეწონათ და სოციალურ ქსელებში ნამდვილი ომი გაჩაღდა.

ცხინვალელების არგუმენტი ასეთი იყო: „ქართველებმა სამხრეთი გადაწვეს და ახლა ჩრდილოეთში აპირებენ ცეკვას“. ამაზე ჩრდილოელებმა უპასუხეს, რომ მომღერლებს და მოცეკვავეებს არაფერი გადაუწვიათ და მათი საქმე არაა, თუ ვის მოიწვევენ თავიანთ სახლში.

დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთს ბევრი რამე წამოაძახეს. ბოლოს ისე გამოიყვანეს ჩრდილოელები წყობილებიდან, რომ მათ ლტოლვილის სტატუსით შეფარებულ ცხინვალელებს უკან დაბრუნება მოსთხოვეს.

– ხომ გაქვთ თქვენი რესპუბლიკა, ხომ მიიღეთ დამოუკიდებლობა. წადით და თქვენს სახლში იცხოვრეთ. ვლადიკავკაზში ისე ვცხოვრობთ, როგორც საჭიროდ ვთვლით, – ასეთი იყო ალანთა პასუხი.

ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე ათასობით სამხრეთელი ცხოვრობს. მათ ადრეც შესთავაზეს ცხინვალში დაბრუნება, მაგრამ ისინი უარს ამბობენ.

იმის მიუხედავად, რომ წლებია ერთად ცხოვრობენ, სამხრეთელებმა და ჩრდილოელებმა საერთო ენის გამონახვა მაინც ვერ შეძლეს. მათ შორის ხშირია დაპირისპირებები. ამის დადასტურებაა ეს ამბავიც.

ვლადიკავკაზში მცხოვრები სამხრეთელები კონცერტების ჩაშლით იმუქრებიან. ჩრდილოელები კი პირდებიან, რომ ამაზე აუცილებლად ექნებათ პასუხი.

ეტყობა, საქმეში ხელისუფლებაც ჩაერთო და ცხინვალის პირველი პირებიც გააფრთხილეს. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს ისღა დარჩენოდა, რომ სამშვიდობო მისიის შესრულება თავის თავზე აეღო.

როგორც ოსური მედია იუწყება, თიბილოვმა დაპირისპირებულ მხარეებს საერთო ენის გამონახვისკენ მოუწოდა. საგანგებო მიმართვაში მან ისიც ახსნა, თუ რატომ ეწინააღმდეგებიან მისი მხრისანი ქართველების ცეკვა-სიმღერას.

– ჩვენ ხალხს საქართველოსგან ბევრი ცუდი ახსოვს, სწორედ ამით არის განპირობებული ეს უარყოფითი რეაქციები, – აღნიშნავს თიბილოვი.

ამასთან, ის დაპირისპირებულ მხარეებს სთხოვს, ემოციებისგან თავი შეიკავონ.

– ჩვენ, ჩრდილოელებსაც და სამხრეთელებსაც, ძალიან გვიყვარს ჩვენი ოსეთი. ამ კონცერტების გამო დაპირისპირება დაუშვებელია. არაფრით არ უნდა დავანგრიოთ ის დიდი ოჯახი, რომელიც ამ წლების მანძილზე შევქმენით, – აღნიშნავს თიბილოვი.

ამ მიმართვის გავრცელების მიუხედავად, სოციალურ ქსელებში სამხრეთელები და ჩრდილოელები ისე ლანძღავენ ერთმანეთს, ჩვენი პოზიცია-ოპოზიცია მონაგონია.

# ინტერპოლმა დათა ახალაიას მიმართ საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა

ინტერპოლმა დათა ახალაიას მიმართ საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა ინტერპოლმა კუდის ყოფილი მაღალჩინოსნის, დათა ახალაიას მიმართ საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა. ამის შესახებ ინფორმაციას ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი სოციალურ ქსელში ავრცელებს.

„ინტერპოლმა დათა ახალაიას ძებნა შეწყვიტა იმ მოტივით, რომ მის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დევნა მიმდინარეობს!“ – აღნიშნავს ნადარეიშვილი.

დათა ახალაია საქართველოში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზეა ბრალდებული და დაუსწრებლად პატიმრობა აქვს მისჯილი.

ახალაია საბერძნეთში იყო დაკავებული, იგი იტალიიდან ყალბი სახელის გამოყენებით საბერძნეთში შესვლას ცდილობდა. დაკავებიდან მალევე, ახალაია 100 ათასი ევროს ოდენობის გირაოთი გაათავისუფლეს. საბოლოოდ კი, საბერძნეთის სასამართლომ ახალაია გაამართლა.

აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურაში კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ.

◆ ◆ ◆

მივმართავთ ყველა შესაძლებლობას, რათა დავით ახალაია წარსდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე

საქართველოს პროკურატურა მიმართავს ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტს და შესაძლებლობას, რათა მსჯავრდებული დავით ახალაია წარსდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე, – ამის შესახებ აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში, რომელსაც უწყება დავით ახალაიას მიმართ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნის შეწყვეტასთან დაკავშირებით ავრცელებს.



როგორც პროკურატურა განმარტავს, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ინტერპოლის გენერალური სამდივნო დაეყრდნო 2015 წლის 18 თებერვალს ინტერპოლის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციებს, რომელთა საფუძველზეც ახლებურად რეგულირდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირების მონაცემთა დამუშავების საკითხები.

– კერძოდ, ხსენებული ინსტრუქციების მიხედვით, თითოეული წითელი ცირკულარის (რედ ნოტიცე რექუესტ) ან ძებნის გავრცელების (დიფფუსიონ რექუესტ) თაობაზე თხოვნა ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის მიმართ უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1) დასტურდება თუ არა ფაქტი იმის თაობაზე, რომ პირი ფლობს ლტოლვილის სტატუსს ან იგი წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებელს;

2) დასტურდება თუ არა ფაქტი იმის თაობაზე, რომ პირის მიმართ წითელი ცირკულარის ან ძებნის გავრცელების თხოვნა მიღებულია მისი წარმოშობის სახელმწიფოდან;

3) დასტურდება თუ არა ფაქტი იმის თაობაზე, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭება კონკრეტული სახელმწიფოს მიერ არ არის განპირობებული წარმოშობის სახელმწიფოსთან მიმართებაში არსებული პოლიტიკური მოტივებით.

შესაბამისად, დავით ახალაიას შემთხვევაში ინტერპოლის ფაილების კონტროლის კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ძებნილ პირს მინიჭებული ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი და ძებნის შეწყვეტის რეკომენდაციით მიმართა ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს, რაც ამ უკანასკნელის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 2016 წლის 9 მარტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სქართველოს მთავარი პროკურატურა აცხადებს, რომ დავით ახალაიას მიმართ ძებნის შეწყვეტა განხორციელდა არა ინტერპოლის კონსტიტუციის მე-3 მუხლის საფუძველზე, რაც თავის მხრივ კრძალავს ძებნის წარმოებას დანაშაულის პოლიტიკური ხასიათის გამო, არამედ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ დავით ახალაიას ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერპოლის ზემოთ მითითებული მიდგომა გამონაკლისი არ არის მხოლოდ დავით ახალაიასა და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი სხვა რამოდენიმე პირთან. კერძოდ, მონაცემთა დამუშავების თაობაზე ახალი ინსტრუქციების დამტკიცებიდან დღემდე ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ ასევე საერთაშორისო ძებნა გააუქმა ინტერპოლის წევრი სახელმწიფოების მიერ ძებნილ 209 პირთან დაკავშირებით, მათ შორის საფრანგეთის რესპუბლიკის, ესტონეთის რესპუბლიკის, იტალიის რესპუბლიკის, მოლდოვას რესპუბლიკის, უკრაინის რესპუბლიკის, სერბეთის რესპუბლიკის, ხორვატიის რესპუბლიკის, ნიდერლანდების სამეფოს, ბელგიის სამეფოს და სხვა ქვეყნების მიერ ძებნილ პირებთან მიმართებაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პროკურატურა საქართველოში ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან ერთად ინტერპოლის რეგულაციების ფარგლებში გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ დღეს არსებული მიდგომის გასაუქმებლად და მიღებული გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად. საქართველოს პროკურატურა მიმართავს ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტს და შესაძლებლობას, რათა მსჯავრდებული დავით ახალაია წარსდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თოფაძე ხიდაშელს ივანიშვილმა აუმხედრა“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ შეწყდა დაპირისპირება მმართველ გუნდში, რა ჩაიფიქრა ივანიშვილმა, როგორ იწერება საარჩევნო სიები, რაზე ჩურჩულებენ დეპუტატები კულუარებში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.**







## მურმან დუმბაძე: „22 წელი რესპუბლიკელი ვიყავი“



***– კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე დაპირისპირება მოულოდნელად ჩაცხრა. თქვენი აზრით, რა ხდება?***

– რა ხდება და დაპირისპირება იმან ჩააცხრო, ვისი ინიციატივითაც ის დაიწყო. ივანიშვილმა დაიწყო და ივანიშვილმავე დაამთავრა ეს ყველაფერი. კოალიციაში მიმდინარე პროცესებს თვალყურს ვადევნებ და კარგა ხანია არც რესპუბლიკელებს და არც მრეწველებს ხმა აღარ ამოუღიათ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სულ ასე იქნება. ადრე თუ გვიან, ისინი ისევ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

***– ისევ ივანიშვილის მითითებით მოხდება დაპირისპირება?***

– შესაძლოა, ივანიშვილის მითითება საჭირო აღარ იყოს. კოალიციაში შემავალი პარტიები ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ. განსაკუთრებული ანტიპათია არის რესპუბლიკელების მისამართით. სხვა პარტიების მიმართ არც ისინი იჩენენ სიმპათიებს და ცდილობენ მათ ზემოდან უყურონ. კოალიციაში შემავალ პარტიებს შორის იმდენად დიდია ერთმანეთისადმი ზიზღი, საკაშვილი რომ არ ყოფილიყო დასამარცხებელი, ისინი ერთმანეთს გამარჯობასაც კი არ ეტყოდნენ.

***– ამის მიუხედავად, კარგა ხნის მანძილზე ტოვებდა კოალიცია ერთი გუნდის შთაბეჭდილებას.***

– ეგ გარეგნულად ჩანდა ასე, თორემ შიგნით საოცარი პროცესები მიდიოდა. მე ვიყავი იქ და ჩემი ყურით მესმოდა, რა საუბრები მიდიოდა კულუარებში. დეპუტატები ერთმანეთზე საოცრებებს ლაპარაკობდნენ.

***– მაინც რას ლაპარაკობდნენ?***

– ყველაფრის თქმა არ შეიძლება, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ არა მარტო კოალიციაში შემავალი პარტიები, არამედ თავად პარტიების შიგნითაც ვერ იტანდნენ ერთმანეთს.

***– თქვენ თქვით, რომ ივანიშვილის მითითებით დაიწყო მრეწველებსა და რესპუბლიკელებს შორის დაპირისპირება. რა სარგებლობა მოუტანა ამან „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს?***

– კოალიცია წინასაარჩევნო რეჟიმში იმყოფება. მიდის საარჩევნო სიების შედგენა. კოალიციაში შემავალ პარტიებს სურთ, რომ გამსვლელ ადგილებში თავიანთი ხალხი გაიყვანონ. ზოგიერთ პარტიას განსაკუთრებულად დიდი ამბიციები აღმოაჩნდა. ამ ამბიციების დასაოკებლად დაიწყო ის დაპირისპირება. არავინ დაიჯეროთ, რომ მრეწველები საგარეჯოს არჩევნებს გაყალბებულად თვლიდნენ. გოგი თოფაძე თინა ხიდაშელს ივანიშვილმა აუმხედრა.

***– რატომ გგონიათ, რომ მრეწველები საგარეჯოს არჩევნებს გაყალბებულად არ მიიჩნევენ? თოფაძე ამტკიცებს, რომ ამის დამამტკიცებელი მასალებიც აქვს.***

– მე არ ვიცი, ბატონ გოგის რა მასალები აქვს და რის დასამტკიცებლად გამოდგება ისინი. მე საკუთარი თვალით ვნახე, როგორ დაუჭირეს მათ საგარეჯოს არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატს მხარი. არჩეული დეპუტატის უფლებამოსილება პარლამენტმა უნდა ცნოს. საგარეჯოში გამარჯვებული თამარ ხიდაშელის უფლებამოსილება 84 დეპუტატმა ცნო. მათ შორის იყვნენ მრეწველებიც.

ამის წინააღმდეგი მხოლოდ მე ვიყავი და მივეცი კიდეც წინააღმდეგ ხმა. არც თოფაძეს და არც ტყემალაძეს მაშინ პროტესტი არ გამოუთქვამთ. არც მრეწველთა ფრაქციიდან უთქვამს ვინმეს, რომ საგარეჯოში არჩევნები გაყალბდა.

***– იქნებ მაშინ არ იყვნენ ამის შესახებ ინფორმირებულები?***

– ახლა თუ ჰქონდათ რაიმე ინფორმაცია, მასალა რატომ არ მიაწოდეს პროკურატურას? პროკურატურამ საგარეჯოს არჩევნების შესწავლა დაიწყო და რამდენიმე დღის წინ საქმე შეწყვიტა. ამაზე საინტერესო რეაქცია ჰქონდათ რესპუბლიკელებსაც და მრეწველებსაც. ესეც მიუთითებს იმაზე, რომ პროცესი ივანიშვილის მიერ იმართებოდა.

***– საინტერესო რეაქციებში რას გულისხმობთ?***

– რესპუბლიკელებიდან მხოლოდ ლევან ბერძენიშვილმა გააკეთა მოკლე კომენტარი. მრეწველებიც მცირე განმარტებით შემოიფარგლნენ. არადა ისეთი ამბავი იყო ამ თემაზე ატეხილი, უფრო მძაფრი რეაქცია უნდა ჰქონოდათ.

***– აღნიშნეთ, თამარ ხიდაშელის უფლებამოსილების ცნობის წინააღმდეგი წავედიო. რა იყო ამის მიზეზი?***

– მიზეზი ის იყო, რომ საგარეჯოში რესპუბლიკელებს არ გაუმარჯვიათ. ამ რაიონში სულ მცირე 100 ოჯახთან მაქვს ახლო ურთიერთობა და იქაური ხალხის განწყობა კარგად ვიცი. მეტსაც გეტყვით, იქ არც 2012 წელს მოუგია არჩევნები თინა ხიდაშელს. საგარეჯოში არ უყვართ რესპუბლიკელები. თინა ხიდაშელი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ხათრით შემოხაზეს.

მართალია, პროკურატურა ამბობს, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, მაგრამ მე საპირისპიროს ვამტკიცებ. ჩვენ აბაშიძე-შევარდნაძე-სააკაშვილმა მიგვაჩვიეს, რომ არჩევნებს ბიულეტენების ჩატენვით აყალბებდნენ. საგარეჯოში ბიულეტენები არავის ჩაუტენია. თუმცა სხვა მეთოდებით განხორციელდა სასურველი კანდიდატისთვის ხმების მოზიდვა.

თამარ ხიდაშელის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი. თავდაცვის მინისტრმა კი მუხროვანში სპეცუბანი გახსნა. არადა რესპუბლიკელები ყოველთვის ამის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ როცა დასჭირდათ, წავიდნენ ამაზე.

ბიულეტენების ჩატენვა არ ყოფილა, მაგრამ ადამიანებს სახელმწიფო მოხელეები მანქანით აკითხავდნენ სახლში და მიჰყავდათ საარჩევნო უბანზე. ეუბნებოდნენ, თუ ჩვენს კანდიდატს ხმას არ მისცემთ, თქვენი შვილი სამსახურიდან წამოვაო. ხმის მიცემის შემთხვევაში კი ოჯახის წევრების დაწინაურებას პირდებოდნენ. ამას სახელისუფლებო რესურსის გამოყენება ჰქვია. რესპუბლიკელებმა ამის ხარჯზე გაიყვანეს იქ თავისი კაცი.

ამის შესახებ გოგი თოფაძე ინფორმირებული იყო. ხმა მანამდე არ ამოიღო, ვიდრე ივანიშვილმა არ მოუწოდა ამისკენ. ეს პროცესი საარჩევნო სიის ფორმირებას უკავშირდებოდა. სასურველი ადგილების მოსაპოვებლად პარტიები კოალიციიდან ერთმანეთის გაგდებასაც არ მოერიდებიან. რაც ნაკლები პარტია იქნება კოალიციაში, მით უკეთესი იქნება რესპუბლიკელებისთვის.

***– რესპუბლიკელებისთვის რატომ?***

– ისინი მიიჩნევენ, რომ კოალიციის საყრდენს წარმოადგენენ. თვლიან, რომ კოალიციაში მხოლოდ ისინი და „ქართული ოცნება“ უნდა დარჩნენ. ეს ივანიშვილის ინტერესებში არაა, ამიტომაც გავხდით იმ დაპირისპირების მომსწრენი. ვილაცებმა თავიანთი ამბიციები ცოტათი მაინც მოთოკეს.

***– კოალიციაში თუ არიან ისეთები, ვისი გავლენის ქვეშაც შეიძლება ივანიშვილი მოექცეს?***

– ეს კოალიცია ივანიშვილმა შექმნა და მისი წყალობით მოხვდნენ პარლამენტში. შესაბამისად, მან უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი. თუმცა ის სხვების აზრის მოსმენაზე და გათვალისწინებაზე უარს არ ამბობს. კარგად მახსოვს, როგორ ვადგენდით საარჩევნო სიას 2012 წლისთვის. მაშინ სხვა ვითარება იყო და ყველაფერი სპონტანურად კეთდებოდა, მაგრამ ივანიშვილი სხვების მოსაზრებებს ყურადღებით ისმენდა. ხშირად იზიარებდა კიდეც. ახლაც ასე მოხდება. ის ამ პროცესებში აქტიურად ჩაერთვება.

***– ვინმეს შეუძლია მასზე გავლენა იქონიოს და მისთვის სასარგებლო პირები ჩაასმევინოს სიაში?***

– ვინმეს გავლენის ქვეშ ივანიშვილი არ მოექცევა, მაგრამ სხვების მოსაზრებებს მოისმენს და გაითვალისწინებს კიდეც.

***– ზემოთ სახელისუფლებო რესურსის გამოყენება ახსენეთ, 2016 წლის არჩევნებზე თუ მიმართავს ამ ხერხს ხელისუფლება?***

– რა თქმა უნდა. სხვებზე არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ რესპუბლიკელებისგან ეს მიკვირს. 1990 წლიდან მოყოლებული ჩვენ სულ ამის წინააღმდეგი ვიყავით. ჩვენ ისეთი საარჩევნო გარემოს შექმნა გვინდოდა, სადაც სახელისუფლებო რესურსის გამოყენება მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი.

***– ჩვენო ამბობთ და ისევ რესპუბლიკელებში ხომ არ დაბრუნდით?***

– მათთან არ დავბრუნებულვარ, მაგრამ 22 წელი რესპუბლიკელი ვიყავი და ამიტომაც ვამბობ ჩვენ-თქო. არ შეიძლება იმ პრინციპებზე უარის თქმა, რომელთაც წლების მანძილზე იცავდი.

იგივე ითქმის საარჩევნო კოდექსის შეცვლაზეც. ხელისუფლებაში მოსვლამდე ჩვენ პირობა დავდეთ, რომ ამ კანონს შევცვლიდით და გავაუქმებდით მაჟორიტარულ სისტემას. სხვა დაპირებების მსგავსად, „ქართულმა ოცნებამ!“ არც ეს პირობა შეასრულა.

საქართველოში სულ მცირე 220 პარტიაა რეგისტრირებული. აქედან 200 პარტია მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ითხოვს. ამას მხოლოდ 5 პარტია – მმართველ გუნდში შემავალი სუბიექტები არ თანხმდებიან.

მათი გაჯიუტება მიუთითებს იმაზე, რომ ისინი თავის თავში დარწმუნებული არ არიან და ამ მახინჯი სისტემით გეგმავენ პარლამენტში მეტი ხალხის გაყვანას. იმას ვერ ხვდებიან, რომ ამით ამომრჩეველში ნდობას კარგავენ. არჩევნების მიმართ მოსახლეობის ნიჰილიზმი იზრდება. ამ არჩევნებზე ძალიან ცოტა ამომრჩეველი მივა.

# მკლავჭიდელები ფედერაციის პრეზიდენტის სოსო ჯაჭვლიანის გადაყენებას მოითხოვენ

**მკლავჭიდელები ფედერაციის პრეზიდენტის სოსო ჯაჭვლიანის გადაყენებას და ფედერაციის გამგეობის შემადგენლობის შეცვლას მითხოვენ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, პრიზიორები დღეს სპორტის სამინისტროსთან შეიკრიბნენ.**

ისინი მკლავჭიდის ფედერაციის ხელმძღვანელობის პრობლემებზე სასაუბროდ სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეხვედრას ითხოვდნენ. ამ მიზნით მკლავჭიდელები სამინისტროს შენობაში შევიდნენ. მათთან შეხვედრის სურვილი მინისტრის მოადგილემ შალვა გოგიძემ გამოთქვა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ევროპის შვიდგზის პრიზიორმა ვასილ ზაუტაშვილმა განაცხადა, ორი წელია, რაც სოსო ჯაჭვლიანი მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტია და ამ დროის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდში არ ჩატარებულა. სპორტსმენებს არ გააჩნიათ სავარჯიშო დარბაზი.

– ახლახანს გავიგეთ, რომ სოსო ჯაჭვლიანი მწვრთნელი ყოფილა და მას როგორც მწვრთნელს ვარჯიში არ ჩაუტარებია. იგი მკლავჭიდელი არ არის. ამის მიუხედავად ბოლო 1 წლის განმავლობაში მკლავჭიდელების მიერ 70 მედალი იქნა მოპოვებული, რისთვისაც ჩვენი ინფორმაციით, მწვრთნელებისათვის პრემიის სახით 200.000 ლარი იყო გამოყოფილი, – განაცხადა ვასილ ზაუტაშვილმა.



სპორტსმენები აცხადებენ, რომ მაისში რუმინეთში მკლავჭიდში ევროპის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, გუნდი კი ამისთვის მზად არ არის.

მკლავჭიდელები ფედერაციის ბიუჯეტის თანხების ხარჯვის მიზანშეწონილობასაც ეჭვქვეშ აყენებენ. მათი თქმით, წელს მკლავჭიდის ფედერაციის ბიუჯეტი გაორმაგებულია და 400.000 ლარს შეადგენს.

**ინტერპრესნიუსი**

# ალეკო ელისაშვილი „პროკურატურამ კი დახურა ე.წ. შეწყალების საქმე, მაგრამ მე არ დამიხურავს“

– პროკურატურამ კი დახურა ეს საქმე, მაგრამ ეს საქმე მე არ დამიხურავს, – ასე გამოეხმაურა შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი მთავარი პროკურატურის განცხადებას, რომლის მიხედვითაც ე.წ. ,,კოკაინის საქმეზე“ ჩადენილი შესაძლო კორუფციული ფაქტი გამოძიებით არ დადასტურდა.

ელისაშვილის თქმით, ის სამართლებრივი გზებით ბრძოლის გაგრძელებას აპირებს და აცხადებს, რომ საქმეზე პასუხს აგებინებს როგორც პარლამენტის დეპუტატებს, ასევე საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებს.

**ალეკო ელისაშვილი:**

– პროკურატურამ კი დახურა ეს საქმე, მაგრამ ეს საქმე მე არ დამიხურია. ეს არის ჩემი ღირსების საქმე და მე, ბესელია-კობახიძის გარდა, ამ საქმის ჩაფარცხვის და მტკიცებულებების გაყალბების გამო კანონის წინაშე აუცილებლად ვაგებინებ პასუხს პროკურორებს და ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლებს.

მე ამ საქმეს ადრე თუ გვიან ბოლომდე მივიყვან. „ქართულმა ოცნებამ“, ხელისუფლებამ ვერ ჩააბარა გამოცდა. მან ტრადიციისამებრ ისევ დააფარა ხელი თავის კორუფციულ ჩინოვნიკებს, მაგრამ ამ საქმეს არ ვაცხადებ დახურულად.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ზეგავლენით ვაჭრობის ნიშნებით გამოძიება 2015 წლის 8 დეკემბერს დაიწყო საქართველოს სსკ-ის 3391-ე მუხლის მეორე ნაწილით.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ალექსანდრე ელისაშვილის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები, რომლის თანახმადაც, შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში, მას მობილურ ტელეფონზე სისტემატიურად უკავშირდებოდნენ კონკრეტული პოლიტიკოსები, უგზავნიდნენ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, გამოხატავდნენ არაჯანსაღ დაინტერესებას და მისგან მოითხოვდნენ ე.წ. „კოკაინის საქმეზე“ მსჯავრდებული პირების შეწყალების საკითხის დადებითად გადაწყვეტას.



პროკურატურის ინფორმაციით, ე.წ. ,,კოკაინის საქმეზე“ ჩადენილი შესაძლო კორუფციული ფაქტი გამოძიებით არ დადასტურდა.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ბაჩუკი ქარდავა: „ჩვენ არჩევნების გერმანული მოდელით ჩატარებას ვითხოვთ“

ნათია ხურცილავა



## „ამომრჩეველმა უნდა იგრძნოს, რომ მისი ხმა არ დაიკარგება“

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებზე საუბრობს.

*– ოპოზიციის მოთხოვნები უცვლელი რჩება?*

– დიახ, ჩვენი მოთხოვნები ყველასთვის არის ცნობილი და ეს არის სავსებით რეალური და სამართლიანი მოთხოვნები. მთავარი მოთხოვნა არის სისტემის ძირეული ცვლილება.

*– კომპრომისებისთვის თუ ხართ მზად?*

– ცხადია, ჩვენ ვართ კომპრომისებისთვის მზად, მაგრამ კომპრომისი გონივრულ ფარგლებში უნდა იყოს თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო ცვლილების გარეშეც შეიძლება მოხერხდეს სისტემური ცვლილება საარჩევნო კანონმდებლობაში, რომელიც ყველა კითხვის ნიშანს მოხსნის ყველასთვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ არჩევნების ლეგიტიმურობაზე.

თუ ხელისუფლება მზად არის სამართლიანი არჩევნებისთვის, ძალიან კარგი, თუ არ არის მზად, მაშინ ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმა.

*– და რა არის ეს გეგმა?*

– თუ ხელისუფლების მხრიდან არ იქნება კომპრომისული განწყობა, მაშინ ჩვენ სხვა ზომებს მივიღებთ.

*– რა ზომებზეა საუბარი?*

– ამ ეტაპზე თავს შევიკავებ ამაზე დეტალურად საუბრისგან. პრემიერმა კვირიკაშვილმა, იუსტიციის მინისტრმა და უმრავლესობის წევრებმა იციან ამ მოთხოვნების შესახებ.

*– ოპოზიციის სათადარიგო ვარიანტი რა არის, რომელიც შეიძლება ხელისუფლებასთან განიხილოთ?*

– რასაკვირველია, ასეთი წინადადებებიც გვაქვს ჩვენ. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლება საქმის კურსშია.

*– ხელისუფლებას პასუხი აქვს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ მოესწრება.*

– საკონსტიტუციო ცვლილებების გვერდის ავლით არის შესაძლებელი, რომ ეს ცვლილებები განხორციელდეს.

*– კონკრეტულად არჩევნების ჩატარების რა მოდელს სთავაზობთ ხელისუფლებას?*

– საუბარია გერმანულ მოდელზე. ეს დიდი კომპრომისია ჩვენი მხრიდან. როდესაც რჩება მაჟორიტარული სისტემაც და პროპორციულიც ერთად, მაგრამ არჩევნებში მონაწილე არც ერთ პარტიას არ რჩება შესაძლებლობა, რომ პროპორციული არჩევნების შედეგად მიღებული 40%-ის შემთხვევაში, პარლამენტის 80% დააკომპლექტოს, როგორც ეს აქამდე იყო. ამ მოდელით ის დააკომპლექტებს მიღებული ხმების შესაბამისად ანუ 40%-ის შემთხვევაში პარლამენტის 40%-ს.

*– მთელ ამ პროცესში რა არის მთავარი, რომ მაჟორიტარული არჩევნებიც რჩება და პროპორციულიც?*

– არა, მთელ ამ პროცესში მთავარი ის არის, რომ არ არის საკონსტიტუციო ცვლილებები საჭირო და შესაძლებელია, საარჩევნო კოდექსის ცვლილებები ისე მოხდეს. ამ სისტემით ამომრჩევლის ერთი ხმა რეალურად აისახება პარლამენტის შემადგენლობასა და მის დაკომპლექტებაზე.

*– თუ გერმანული მოდელი იქნა მიღებული, საარჩევნო რეფორმა ამით დასრულდება და ეს მოდელი ყველა ძალისთვის, ვინც ამ პროცესში ჩართულია, მისაღები იქნება?*

– თუ ხელისუფლება ჩვენს წინადადებებს გაითვალისწინებს, ეს იქნება საარჩევნო კანონმდებლობაში რევოლუციური ცვლილება, რომელიც საქართველოს დემოკრატიული ქვეყნების რიცხვში ჩააყენებს, მინიმუმ არჩევნების კუთხით.

*– პრემიერი მზად არის ამ ცვლილებებისთვის თუ ის ვერ მიიღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას?*

– თუ პრემიერს ამ ცვლილებების პოლიტიკური ნება არ გააჩნია, მაშინ ის ამ პროცესს არ დაიწყებდა. ეს მისთვის ძალიან წამგებიანი იქნება. აქ მთავარია, რამდენად მოახერხებს კვირიკაშვილი უმრავლესობაში ამ საკითხის ბოლომდე გატანას. უმრავლესობა მზაობას გამოთქვამს, რომ ეს ცვლილებები 2020 წელს მოხდეს და არა – 2016 წელს. ეს განსხვავებაა ჩვენ შორის.



## თბილისის მერია მშობლებს მოუწოდებს, „კონკრეტული პირების მიერ პოლიტიკურად მართულ პროცესებში“ ნუ ჩაერთვებიან

დედაქალაქის მერიის განცხადებით, თბილისის რამდენიმე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის გათავისუფლება მხოლოდ მათი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას უკავშირდება და საკითხის პოლიტიზება მიუღებელია.

თბილისის მერია რამდენიმე საბავშვო ბაგა-ბაღში დირექტორების გათავისუფლებასთან დაკავშირებით განვითარებულ პროცესებს ეხმაურება და გავრცელებულ განცხადებაში მშობლებს მოუწოდებს, კონკრეტული პირების მიერ პოლიტიკურად მართულ პროცესებში ნუ ჩაერთვებიან.

„ინტერპრესნიუსი“ დედაქალაქის მერიის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– გვინდა განვაცხადოთ, რომ დირექტორების გათავისუფლება მხოლოდ მათი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას უკავშირდება და საკითხის პოლიტიზება ჩვენთვის მიუღებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ბაღებში აღმოჩენილი კონკრეტული დარღვევების შესახებ ინფორმაცია არაერთხელ გავრცელდა, გარკვეული პირები ცდილობენ, დირექტორების გათავისუფლება პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანონ.

აღვნიშნავთ, რომ ბაგა-ბაღებში ბავშვებისთვის უსაფრთხო და ჯანმრთელი გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელი არის თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო.

სააგენტოს ხელმძღვანელობა არ დაუშვებს საფრთხე შეექმნას ბავშვების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, შესაბამისად ყველა დარღვევას, მათ შორის ფინანსურსაც, ადეკვატური რეაგირება მოყვება.

მოვუწოდებთ მშობლებს, ნუ ჩაერთვებიან კონკრეტული პირების მიერ პოლიტიკურად მართულ პროცესებში!

რაც შეეხება დარღვევებს, რის საფუძველზეც გათავისუფლდნენ დირექტორები, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ბაღებში ინსპექტირება ჩაატარა როგორც თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს მონიტორინგის სამსახურმა, ასევე თბილისის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა. შემოწმდა დაფინანსების მოთხოვნის, მიღებისა და გასული ხარჯების მიზნობრიობა, რის შედეგადაც გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დარღვევები, მათ შორის ბავშვებისთვის განკუთვნილი საკვების ზედმეტად ჩამოწერა, საკვები პროდუქტისათვის მოთხოვნილი თანხების სააგენტოსთან შეუთანხმებლად სამეურნეო ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენება და სხვა.

სააგენტოს წესდების თანახმად კი, ბაგა-ბაღის საერთო საქმიანობას წარმართავს და მის ხარისხზე, კანონიერებასა და ეფექტურობაზე პასუხისმგებელია ბაგა-ბაღის დირექტორი.

თბილისის მასშტაბით ამ დროისთვის 161 ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს და სააღმზრდელო პროცესში 56.000 ბავშვია ჩართული, – ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## ფილიპ ბრდილავი: „ნატო-სთვის საქართველოსნაირი მტკიცე პარტნიორის ყოლა დიდი პატივია“



ნატო-სთვის დიდი პატივია ჰყავდეს ისეთი მტკიცე პარტნიორი, როგორიც არის საქართველო, რომელიც აგრძელებს მისი წვლილის შეტანას საერთაშორისო უსაფრთხოების საქმეში, – ამის შესახებ აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურმა და ნატო-ს მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების (შ[illegible]) უმაღლესმა მთავარსარდალმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველო რიცხობრივად მეორე კონტრიბუტორია ნატო-ს მისიაში, რომელიც ავღანეთში მიმდინარეობს.

როგორც ბრდილავმა აღნიშნა, საერთაშორისო ოპერაციებში თავისი მონაწილეობით საქართველო მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებაში.

– ჩვენ უაღრესად მადლიერი ვართ ქართველი ხალხის იმისათვის, რომ ისინი იჩენენ დიდ სიმტკიცეს და ერთგულებას საერთაშორისო უსაფრთხოებისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროები და საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედროები უკვე 15 წლის განმავლობაში ერთად მსახურობენ საერთაშორისო უსაფრთხოების მისიებში. ორივე ჩვენი ქვეყნის სამხედროები კარგად არიან ინფორმირებული, თუ რას ნიშნავს იყვნენ ბრძოლაში გამობრძმედილი ძმები, მეგობრები.

აშშ-ის დახმარება მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება და განმტკიცება, ასევე გაღრმავდეს საქართველოს ურთიერთავსებადობა ნატო-სთან.

ჩვენი მიზანია, საქართველო იყოს მაქსიმალურად მომზადებული იმ დღისთვის, როდესაც ნატო გამოაცხადებს მის მზადყოფნას, – განაცხადა ბრიდლავმა.

მისივე თქმით, აშშ მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას გახდეს ნატო-ს წევრი და ამ პოზიციის ერთგულია 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ.

**ინტერპრესნიუსი**

# რა ხდება თბილისის საბავშვო ბაღებში

**თბილისის ბაღებში აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ, თანამდებობიდან ოცამდე დირექტორი გათავისუფლდა. ანუ, თანამდებობები იმ დირექტორებმა დატოვეს, რომლებსაც ფინანსური დარღვევები აღმოუჩინეს. დარღვევაცაა და დარღვევაც – როცა ათეულობით ათასი ლარი ბავშვთა კვებიდან „ტყდება“, რბილად რომ ვთქვათ, ეს არაკორექტულია, პირდაპირ რომ განვაცხადოთ, ბავშვთა კვებაზე გაწერილი ხარჯების „დაკარგვა“ მორალში არ ჯდება.**



ჩვენ ხელთ 90-ე ბაღში ჩატარებული აუდიტორული დასკვნა ჩაგვივარდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს დასკვნა იმ დანარჩენებისგან, სადაც დირექტორები გათავისუფლდნენ, არაფრითაა გამორჩეული. უფრო ზუსტად კი, აქაც, როგორც სხვა შემთხვევაში, ფული ბავშვთა კვებაზეა „გაკეთებული“ და ეს თანხა ლამის 30 ათას ლარს აღწევს. შეგახსენებთ, რომ ამ ბარის დირექტორი ლელა გოგორიშვილი გახლავთ, პარლამენტარისა და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ხათუნა გოგორიშვილის და, რომელიც, როგორც ამბობენ, ბაღში დირექტორად თავის დროზე სწორედ მისი დის რეკომენდაციითა და გავლენით დაინიშნა.

მაშ ასე, აი რა წერია აუდიტორულ დასკვნაში კონკრეტულად აღნიშნულ ბაღზე:

„90-ე ბაგა-ბაღის მიერ სააგენტოში წარდგენილი მოთხოვნებისა და ბაგა-ბაღში არსებული ბავშვთა აღრიცხვის ჟურნალების (ტაბელები) მიხედვით, რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობამ წლის განმავლობაში, სამუშაო დღეების გათვალისწინებით, შეადგინა 53.362 ბავშვ/დღე. შესაბამის პერიოდში მოთხოვნილი იქნა სულ 82.088,21 ლარი, რაც ერთ ბავშვზე გაანგარიშებით შეადგენს – 1,538 ლარს. ბავშვთა აღრიცხვის ჟურნალების მიხედვით, ფაქტიურად დასწრებული ბავშვების რაოდენობამ წლის განმავლობაში შეადგინა 35.841 ბავშვ/დღე, მათ კვებაზე ფაქტიურად ჩამოწერების მიხედვით გახარჯულ იქნა 84.578,54 ლარი, რაც ერთ ბავშვზე შეადგენს 2,36 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის განმავლობაში, №90-ე ბაგა-ბაღის მიერ ბავშვების კვებაზე წარმოდგენილი მოთხოვნების თანახმად, გაანგარიშებულმა თანხამ ერთ ბავშვზე შეადგინა დღეში 1,538 ლარი, როცა ბაგა-ბაღის მიერ ფაქტიურად ერთი ბავშვის კვებაზე დღეში დახარჯულად ნაჩვენებია 2.36 ლარის საკვები, ანუ 0.821 ლარით მეტი. შესაბამისად, წლის განმავლობაში №90 ბაგა-ბაღის მიერ კვებაზე ზედმეტად გახარჯულად ნაჩვენები საკვების თანხამ შეადგინა 29.443,4 ლარი.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქ.თბილისის №90 ბაგა-ბაღი“ წესდების მე-4 მუხლის, მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დირექტორი კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს დაწესებულების ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ორგანიზაციის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე“.

საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან.“

ვინაიდან დგინდება, რომ №90 ბაგა-ბაღის მიერ კვებაზე ზედმეტად გახარჯულად ნაჩვენებია 29 443.4 ლარის საკვები, ამით დასტურდება №90 ბაგა-ბაღის დირექტორის, ლელა გოგორიშვილის მიერ ბაღის წესდებით გათვალისწინებული ფულადი სახსრების არასწორად ხარჯვა და საკვების ზედმეტობით ჩამოწერა, ხოლო იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ თანხების არასწორად ხარჯვა და საკვების ზედმეტობით ჩამოწერა გამოწვეულია წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული არაერთჯერადი ქმედებით, ადასტურებს მისი პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობას მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან...“

როგორია? მე თუ მკითხავთ, ძალიან ცუდი და ახლავე აგიხსნით რატომ. იმიტომ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ასეთ დარღვევაზე არათუ ათმაგად უკან მოატანინებდნენ იმ დანაკლისს და სახლ-კარს გაუყიდდნენ, არამედ ბაღის დირექტორს თავის სანათესაოსთან ერთად ციხეში ამოალპობდნენ და პროფილაქტიკისთვის ბაღის რამდენიმე თანამშრომელსაც მიაყოლებდნენ. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ბაღის დირექტორი მათიანი არ იქნებოდა, თორემ როგორი დასაჯერებელია, რომ გოგორიშვილის დას ამ ხელისუფლების პირობებში გაეხსნა მადა და წინა ხელისუფლების პირობებში ბავშვების კვებაზე ფულს არ აკეთებდა?!

სწორედ ამიტომ, დღევანდელი ხელისუფლების ტოლერანტობის ფონზე, დამნაშავეები ბედავენ და საკუთარ გათავისუფლებას პოლიტიკური ნიშნით ხსნიან და მათ ამაში ხელს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-იც უწყობს. როგორ?!

რეალურად, ხმაური სამმა დირექტორმა ატეხა. 90-ე ბაღის აწ უკვე ყოფილი დირექტორი ლელა გოგორიშვილი პარლამენტარ ხათუნა გოგორიშვილის და რომ გახლავთ, უკვე გითხარით. კიდევ ერთი გათავისუფლებული დირექტორი, კონკრეტულად კი №2 ბაღის აწ უკვე ყოფილი შეფი ანა გეგია თბილისის მერობის ასევე ყოფილი კანდიდატის, ნიკანორ მელიას ახლო ნათესავია და სწორედ ის იმუქრება სასამართლოში გასაჩივრებით. რაც შეეხება მესამე დირექტორს, საუბარი №6 ბაღის ხელმძღვანელ თამარ ბაქრაძეზეა, თუმცა...

მოდით სხვანაირად ვთქვათ – ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა სიუჟეტში მეექვსე ბაღის დირექტორი ბარბაქაძედ მოიხსენია და მოიხსენია იმიტომ, რომ იქეთ გოგორიშვილი, აქეთ ბაქრაძე, გარკვეულ ეჭვებს აღძრავდა. ამიტომ, ბაქრაძის გვარი დაამახინჯეს, ბარბაქაძედ გადაწერეს და სიუჟეტიც ბარბაქაძეს მიუძღვნეს. არადა, ქალბატონი თამარი დავით ბაქრაძის ბიძაშვილია და ეს ის შემთხვევაა, როცა თავს ვერ იმართლებ, ცოლის ნათესავია და ჩემი ნათესავი არ არისო.

მოკლედ, მელიას, გოგორიშვილის და ბაქრაძის ნათესავები აუდიტის დასკვნის მიხედვით თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში არიან მხილებულნი და... ისე, დიდიც არაფერი – წინა ხელისუფლება მთლიანად ამაში იყო მხილებული, მაგრამ კი არიან ახლა მშვიდად და მაქსიმალურად ცდილობენ წარსული დაგვავიწყონ.

# ზურაბ ჯორბენაძე: „მე ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც სახელებით, გვარებით, ადგილებით იცის, ვინ რას იღებდა“

გულიკო ბალაძე

**პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით ისევ იმუქრებიან.**

**პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღება იყო ნაცმოძრაობის ხელისუფლების პერიოდის სისტემური დანაშაული. მასში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ამ ბინძურ საქმეში მთელი სისტემა იყო ჩართული მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით.**

**კონკრეტულად, ვინ იყვნენ ისინი, ვინც ფარული ჩანაწერების ინდუსტრიაში იყვნენ ჩაბმული?**

– მიხეილ სააკაშვილი, ლევან ქარდავა, ლელუაშვილი, თოფურიძე, ბაჩანა ახალაია, დავით ახალაია, მეგის ქარდავა, მამა-შვილი ჯამალაშვილები, ებანოიძე, გოგა მაისურაძე, ზაზა მჭედლიძე და სადაზვერვო სამმართველოს სხვა თანამშრომლები არიან ის პირები, რომლებზეც ზურაბ ჯორბენაძის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმე პროკურატურას ჯერ კიდევ 2013 წელს უნდა აღეძრა და გაესამართლებინა.

პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებს თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოში შიფრავდნენ და აფაილებდნენ, რომელშიც ამ სამმართველოს ყველა თანამშრომელი მონაწილეობდა, – ასეთ სიას გვაძლევს ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე.

ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ირწმუნება, რომ პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებს იღებდნენ მიხეილ სააკაშვილის დავალებით, რომლებიც იშიფრებოდა და ინახებოდა თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოში.

ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ არავინ გაუთავისუფლებია. პირიქით, ერთ-ერთი თანაშემწედაც კი დაინიშნა.

მიხეილ სააკაშვილმა ულევი რაოდენობის ფარული ჩანაწერები გააკეთებინა თავის ხელქვეითებს.

– მე ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც სახელებით, გვარებით, ადგილებით იცის, ვინ რას იღებდა, – აცხადებს იგი.

***– ბატონო ზურაბ, სად ხდებოდა, სად ინახებოდა ჩანაწერები?***

– ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს ხდებოდა ასეულობით, ათასეულობით ჩანაწერების გაკეთება თავისი გუნდის წევრებზე, თავისივე მაღალი თანამდებობის პირებზე და ასევე ოპოზიციაზე. წესით სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე უნდა ეგოთ პასუხი, სინამდვილეში ახორციელებდნენ მოსმენებს, თვალთვალს და აკეთებდნენ ჩანაწერებს და შეგროვებული ინფორმაციების დაფაილებას.

***– ვინ იყვნენ ისინი, ვინც ამას აკეთებდნენ?***

– სპეცსამსახურების წარმომადგენლები. ამ სპეცსამსახურებს სათავეში ედგა და უშუალოდ ვისი დავალებითაც კეთდებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები, იყო მიხეილ სააკაშვილი.

***– ვინ ახორციელებდა ამ ჩანაწერებს?***

– ჩანაწერებს ახორციელებდა, პირველ რიგში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში ფარული ჩანაწერების საკითხი მაღალ დონეზე იდგა ლევან ქარდავას მიერ. ქარდავას ევალებოდა თავისი სამსახურებისთვის დაევალებინა ფარული ჩანაწერების გაკეთება. როგორ კეთდებოდა ჩანაწერები, ამაზე ზედამხედველობას ახორციელებდა ბატონი ლელუაშვილი, რომელიც მე სხვა დროს და სხვა სიტუაციაში გამაცნეს აბსოლუტურად სხვა სახელითა და გვარით.

ჩანაწერების, მოსმენების, თვალთვალის საქმის კურსში იყო თოფურიძე. შემდეგ, როდესაც ბაჩანა ახალაია გადაიყვანეს თავდაცვის სამინისტროში, შემდეგ კი თავდაცვის სამინისტროდან შს მინისტრად, თავდაცვის სამინისტროში მოადგილედ, უშუალო ხელმძღვანელად დაინიშნა დავით ახალაია. ახალაიამ თავისთან წამოიყვანა მეგის ქარდავა და იქ დარჩა ლევან ქარდავა და ე.წ. მასტერა, ანუ გიორგი დგებუაძე.

***– ეს ჩანაწერები სადმე ერთ ადგილზე ინახებოდა?***

– თავდაცვის სამინისტროში არსებობდა და არსებობს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, უზნაძის ქუჩის ბოლოში მდებარე შენობაში. ამ სამმართველოს ყველა თანამშრომელი უშუალოდ მონაწილეობდა თვალთვალში, ფარული ჩანაწერების გაკეთებაში

მოკლედ, იმ შენობაში ჰქონდათ სპეციალური ოთახები, სადაც გაკეთებული ჩანაწერები მიდიოდა. არსებობდა კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები, სადაც ეს ჩანაწერები იშიფრებოდა და ფაილდებოდა.

ჩანაწერების გაშიფვრა-დაფაილებაში უშუალოდ მონაწილეობდა ჯამალაშვილი. მამა ჯამალაშვილი ხომ კუდის თანამშრომელი იყო, შვილი ჯამალაშვილი მაშინ არასრულწლოვანი გახლდათ, მაგრამ სპეციალურად იქნა დაფინანსებული კუდისგან მისი განათლება, რომ მას შეექმნა ვირუსი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა, პოლიტიკური პარტიებისთვის ისე მოესმინათ და ეთვალთვალათ, რომ აგენტების შეგზავნა არ დასჭირვებოდათ.

ზურაბ ჯორბენაძე აცხადებს, ფარული ჩანაწერების თაობაზე მთელი ინფორმაცია მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს მიაწოდა 2013 წელს.

***– ვინ უსმენდა, რა ჩანაწერებს აკეთებდა, „ქართულ ოცნებასა“ და სხვა პარტიებში ვინ იყვნენ შეგზავნილი, დეტალურად მოგვიყევი არ-***



***ჩილ კბილაშვილის დავალებით გოჩა ფარულავას (რომელიც მაშინ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი იყო, ამჟამად პროკურორია), რომელსაც 32-ფურცლიანი ჩვენება მივეცი თავისი მითითებებით, – აღნიშნავს ჯორბენაძე.***

ზურაბ ჯორბენაძე მთავარ პროკურატურას მიმართავს:

– ვთხოვ, მართლა თუ გინდათ ფარული ჩანაწერების საქმის გამოძიება, თაროდან ჩამოიღეთ ნაცვლიშვილის დროს დადებული „გრიფით საიდუმლო“ ის სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც ჩვენება მოგეცით. ჩემი სიცოცხლის რისკის ფასად გაძლევთ უფლებას, მოხსნათ საქმეს გრიფი საიდუმლო და გაასაჯაროვოთ ჩემი ჩვენება. ამით სახელმწიფოს გადაარჩენთ.

***– ბატონო ზურაბ, თუ იცით, რა ბედი ეწიათ ფარული ჩანაწერების ავტორებს ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ? ალასანიამ ისინი არ გაათავისუფლა?***

– ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ის ხელმძღვანელები, რომლებიც ახალაიას დროს მოსმენებს ახორციელებდნენ, ყველაფერს გეგმავდნენ და აკეთებდნენ, ალასანიამ სამსახურში დატოვა.

***– მათზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა?***

– არა, არც ერთ მათგანზე სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. მაგალითად, ნაცმოძრაობის დროს მოსმენებს და თვალთვალს უშუალოდ ხელმძღვანელობდა სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ებანოიძე. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ებანოიძე არავის მოუკითხავს და არავის უკითხავს, რატომ ხდებოდა ეს.

ჩანაწერების გაკეთება-დამუშავებაში უშუალოდ მონაწილეობდა გოგა მაისურაძე. გოგა მაისურაზე არავის დაუკითხავს და არავის უკითხავს, რატომ ხდებოდა ეს? არავის მოუკითხავს სადაზვერვო სამმართველოს სხვა მაღალჩინოსნები.

რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, ფარული ჩანაწერების გაკეთებაში მონაწილეობდა ზაზა მჭედლიძე, რომელიც ალასანიას თანაშემწე იყო თავდაცვის მინისტრობის დროს.

***– ეს რას ნიშნავს?***

– მინდა ვიკითხო, შემთხვევით ხელისუფლებაში მყოფი ეს პირები ხომ არ არიან დაშანტაჟებული ფარული ჩანაწერების გამო?!

ზურაბ ჯორბენაძის თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება ნაცმოძრაობას აწყობს.

***– ვის აწყობს ამ ჩანაწერების გამოქვეყნება?***

– ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ამ ჩანაწერების გამოქვეყნება აწყობს ბიძინა ივანიშვილს და ხელისუფლებას. ეს არასწორია.

***– რატომ არის არასწორი?***

– თუ ბიძინა ივანიშვილს ოპონენტების განადგურება უნდოდა, უშიშროებაში არსებული უამრავი რაოდენობის ჩანაწერებით აქამდე ვერ გაანადგურებდა პულტზე თითის დაჭერით? ჩანაწერების გამოქვეყნება და დესტაბილიზაცია დღეს ნაცმოძრაობას აწყობს.

***– ნაცმოძრაობას მაინც რატომ აწყობს?***

– ყველაფერი ხელისუფლებას ბრალდება. ეს არის მეთოდი, რომელსაც ნაცმოძრაობა მაშინაც იყენებდა. ამ მეთოდს ჰქვია წელს ქვემოთ დარტყმა. ყველა მეთოდით აყენებენ დარტყმებს წელს ქვემოთ, მაგრამ ახია ამ ხელისუფლებაზე, დაიმსახურა. ის ჩანაწერები კი არ უნდა გაენადგურებინა, ყველა მათგანი თავის დროზე პასუხისგებაში უნდა მიეცა და ციხეში გაეშვა.

ზურაბ ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ წესით უნდა ეშინოდეს, რადგან ისეთი მწამებლები, მკვლელები, რომლებიც გვყავდა ხელისუფლებაში და სპეცსამსახურებში, ალბათ, ამ განცხადების შემდეგ ნადირობას დაიწყებენ.

***– ბატონო ზურაბ, არ გეშინიათ, რომ იმ პირებმა, რომლებსაც თქვენ ასახელებთ, შური იძიონ?***

– მე გაცნობიერებული მაქვს, რომ პრაქტიკულად, სიკვდილზე მივდივარ.

***– მაშინ რატომ ამხელთ?***

– მომწყინდა ეს პოლიტიკური პინკ-პონკი, რომელიც არჩევნების მოახლოებასთან ერთად უფრო ბინძურ კამპანიაში გადავა და უფრო უარესის ნახვა მოგვიწევს. ამიტომ მივმართავ სახელმწიფო უწყებებს, დაცვა არ მჭირდება, სახელმწიფოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა შემთხვევით რამე არ დამიშავონ. სხვა არ მომკლავს.

***– სახელმწიფო სპეცსამსახურების წარმომადგენლებისაგან საფრთხე რატომ უნდა გემუქრებოდეთ?***

– იმიტომ, რომ ბევრი მათგანი, ვინც ფარული ჩანაწერების ინდუსტრიის ფერხულში იყო, დღესაც მუშაობს.

# თინა ხიდაშელი: „ევროპამ კიდევ უფრო მეტი თავისუფლების რეჟიმით უნდა გასცეს პასუხი ტერორიზმს“

საქართველოს თავდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ უნდა გაძლიერდეს უსაფრთხოების ზომები და პრევენცია პირველ რიგში, მაგრამ მეორე მხრივ, კიდევ უფრო მეტი თავისუფლების რეჟიმით უნდა გასცეს პასუხი ევროპამ ტერორიზმს და მსგავსი ტიპის აგრესიას.

ამის შესახებ თინა ხიდაშელმა საქართველოში ვიზიტად მყოფ აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურ გენერალ ფილიპ ბრილდავთან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, როდესაც ბრიუსელში მომხდარ ტერაქტს გამოეხმაურა. როგორც ხიდაშელმა აღნიშნა, მისი აზრით, დღეს მსოფლიოს წინაშე ორი ამოცანა დგას.

**თინა ხიდაშელი:**

– პირველი, რა თქმა უნდა, არის ის, რომ ყველა ძალის მობილიზებით შევქმნათ იმის შესაძლებობა, რომ მსგავსი ტიპის ტერაქტების პრევენცია მოხდეს. როდესაც ნიუ-იორკში 11 სექტემბერი მოხდა, მაშინ ყველას ჰქონდა განცდა, რომ ამაზე უფრო უარესი შეუძლებელია დაემართოს მსოფლიოს. თუ ეს შესაძლებელი იყო მომხდარიყო ნიუ-იორკში, მაშინ ყველა დაუცველია.

ბრიუსელმა აბსოლუტურად ანალოგიური ემოციით დატოვა მსოფლიო, რადგან ქალაქი, რომელიც ყველას გვგონია, რომ ყველაზე მეტად დაცულია. ცინიზმის პასუხი სწორედ ეს იყო, ბრიუსელი და არა რომელიმე სხვა ქალაქი იმისთვის, რომ ყველას გაგვიჩნდეს დაუცველობისა და უსუსურობის განცდა.



პირველი პასუხი უნდა იყოს უსაფრთხოების პრევენცია, უნდა იყოს ღონისძიებები ერთიანი ევროპის მხრიდან, რომელიც ტერორისტებს შესაძლებობას მოუსპობს ასე უპასუხოდ დარჩეს მათი მოქმედებები, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ პასუხი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიცავდეს იმას, რის გამოც ტერორიზმი მძვინვარებს დღეს მსოფლიოში.

პასუხი არ უნდა მოიცავდეს თავისუფლების შეზღუდვას და საზღვრების ჩაკეტვას. სწორედ თავისუფალი მოქალაქეების მიერ შექმნილი თავისუფალი სახელმწიფოები არის ყველაზე ადეკვატური პასუხი ნებისმიერ აგრესიაზე, მათ შორის ტერორისტულ აქტებზე.

**ინტერპრესნიუსი**

# „ბიზნესისთვის უმჯობესია, რეინვესტირების შემთხვევაში მოგების გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ კანონი 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდეს“

აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიის (BDO) მმართველი პარტნიორი, ზურაბ ლალაზაშვილი აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტრომ ბიზნეს სექტორის შენიშვნების უმრავლესობა გაიზიარა.

აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიის მმართველმა პარტნიორმა ზურაბ ლალაზაშვილმა გადაცემა „ბიზნეს კონტაქტის“ ეთერში იმ მიზეზებზე ისაუბრა, რატომ მოითხოვა ბიზნესასოციაციამ მოგების გადასახადის ახალი სისტემის ამოქმედების გადავადება.

მისი განმარტებით, ამ არგუმენტებზე ბიზნესმენები იმ დღიდან საუბრობენ, რა დღიდანაც მათ გადაეცათ კანონპროექტი.

– პირველ რიგში, ეს ეხება მოგების გადასახადის ტიპს. მოგების გადასახადის გადახდა ყოველთვის ხდებოდა წლიურად, წლიური დეკლარირების სახით და მოიცავდა ერთწლიან პერიოდს. შესაბამისად, არის ბევრი მუხლი, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ მუხლის დაბეგვრა.

პირველ ივლისს რომ ამოქმედებულიყო ეს კანონი, გაჩნდებოდა ბევრი კითხვის ნიშანი, გაურკვეველი საკითხები, თუ როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ ხარჯისა და შემოსავლის გამიჯვნა. ეს უნდა ყოფილიყო პირველ ივნისამდე პერიოდში, თუ ივლისის შემდგომ პერიოდს მიეკუთვნებოდა. შესაბამისად, ჩვენ გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ შემოწმებების დროს, განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდებოდა სწორედ ამ პერიოდზე და მოხდებოდა დაბეგვრები, – განაცხადა ლალაზაშვილმა.

მისივე თქმით, ეს არ ეხება მსხვილ ბიზნესს, რადგან მსხვილი ბიზნესი თავისი რესურსებიდან გამომდინარე, მეტნაკლებად გაარკვევდა, როგორ უნდა გაემიჯნა ხარჯი და შემოსავალი.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, რასაც კომპანიების უმრავლესობა წარმოადგენენ, მათთვის ამ ყველაფრის კარგად გაანალიზება ზურაბ ლალაზაშვილს წარმოუდგენლად მიაჩნია ასეთ მოკლე პერიოდში.

– პრინციპულად იცვლება მიდგომები მოგების გადასახადთან დაკავშირებით – მოგების გადასახადის არც დაანგარიშება მოხდება, არც დეკლარირება და არც გადახდა. ბევრი ახალი ნიუანსია, რომელზე გადაწყობაც, ბიზნესის დაგეგმვა ამ ახალი მოთხოვნების მიხედვით, ამ მოკლე ვადაში, მსხვილი ბიზნესისათვისაც რთულია და მითუმეტეს, რთული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.

ეს იყო ის გარემოებები, რის გამოც ჩვენ ვამბობდით, რომ მივიღოთ ეს კანონი ახლა, მაგრამ ავამოქმედოთ პირველი იანვრიდან, – აღნიშნა ლალაზაშვილმა.

ის ფიქრობს, რომ ეს მართლაც ძალიან კარგი კანონია, რომელიც წაახალისებს მეწარმეებს საქართველოში, თუმცა მომხრეა, რომ მისი ამოქმედება მოხდეს იანვრიდან.

მისივე თქმით, ბიზნეს სექატორის შენიშვნების უმრავლესობა ფინანსთა სამინისტრომ გაიზიარა. ის იმედს გამოთქვამს, რომ ამ საკითხზე სამინსიტროსთან თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება.

ცნობისათვის, საქართველოს მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო, გამოთქვამს მზადყოფნას მოგების გადასახადის რეფორმა ამოქმედდეს 2017 წლის პირველი იანვრიდან.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სრული უპასუხისმგებლო და კრიმინოგენური ვითარებაა მთავარ პროკურატურაში, პარლამენტში და პარლამენტის თავმჯდომარის გარემოცვაში — საჩივრებსა და მიმართვებს ბლოკავენ

2016 წლის 9 თებერვალს მიმართვა გავუგზავნე საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ეხება პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწის გიორგი რაზმაძისა და ადამიანის უფლებათა დაცვის და მოქ. ინტგრ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გედევან ფოფხაძის მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, რომლებმაც პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შეტანილი საჩივარი, ჯერ მიაჩუმათეს ორი თვენახევრის განმავლობაში, ხოლო შემდეგ გარემოების ფალსიფიკაციის გზით მოაშორეს პარლამენტს, რა დროსაც დაარღვიეს სის. სამართ. საპროცესო კოდექსის 97 მუხლის I პუნქტი.

პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე №19355 საჩივარი შევიტანე 2015 წლის 22 სექტემბერს, რომელზეც პასუხი დღემდე არ მიმიღია.

პასუხს ვითხოვდი პირადად მისგან, არა მარტო, როგორც პარლამენტის თავმჯდომარისაგან, არამედ, როგორც ჩვენი რ-ის დეპუტატისაგან და როგორც მისი ამომრჩეველი.

ჩემი მოთხოვნა იყო საჩივარში ასახული, პროკურატურის მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ნიშნების შემცველი ქმედებები, რომლებიც არღვევს ჩემს უფლებებს, შეესწავლა და კომიტეტის სხდომაზე განეხილა ადამ. უფლებათა დაცვის და მოქ. ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის რომელიმე მოადგილეს დებულების მე-2 მუხლის „ე“ და „კ“ პუნქტების შესაბამისად, ვინაიდან უნდობლობას უცხადებ კომიტეტის თავმჯდომარეს ე. ბესელიასა და მის თანამშრომელს ზ. ბრეგვაძეს, რომლებმაც ჩემს ორი წლის წინ შეტანილ ანალოგიური შინაარსის განცხადებებზე, არანაირი რეაგირება არ მოახდინეს და დღემდე პასუხი არ მომცეს გადატვირთულობის მიზეზით: ორი წელი საკმარისზე მეტი დროა პასუხის გასაცემად.

ჩემი უფლებების დარღვევები გამომდინარეობს ორი სისხ. სამართლის საქმის მასალებიდან, სადაც შვიდი წლის მანძილზე პროკურორების მიერ განხორციელებული ქმედებები შეიცავს თითქმის ყველა დანაშაულის ნიშნებს, რომელიც კი შეიძლება ჩაიდინოს პროკურატურამ, რაც დაკონკრეტებული მაქვს საჩივარში. აქ მხოლოდ ვმეორდები:

1. ახდენენ კანონის უზენაესობის იგნორირებას.
2. უკვეთავენ დანაშაულის ჩადენას.
3. ახდენენ დანაშაულში ეჭვმიტანილების უხარისხო დაკითხვებს და მტკიცებულებების მაგივრად ისეთი დოკუმენტების ანუ „მაკულატურის“ შეგროვებას, რომელსაც შეხება არ აქვს საქმესთან, ეს იმიტომ, რომ მოხდეს ჩემს მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული დოკუმენტალური მტკიცებულებების გადაფარვა.
4. ფაქტობრივი გარემოებების ფალსიფიკაცია.
5. მოწმისგან კონკრეტული კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგო ჩვენების მიღება, მაშინ როდესაც მოწმეს ამ კანონის მოთხოვნების მიხედვით, ადრე უკვე შექმნილი აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია.
6. არასწორად იყენებენ და განმარტავენ კანონებს, მათთვის სასურველი სამართლებრივი შეფასების გასაკეთებლად.
7. იღებენ საქმიდან იმ მტკიცებულებებს და ფაქტებს, რომლებიც ჭეშმარიტებას ადასტურებენ.
8. ჩემი მოთხოვნების მიუხედავად შვიდი წლის მანძილზე არ ატარებენ საქმეში არსებულ იმ ყალბი დოკუმენტების ექსპერტიზას, რომელსაც ეყრდნობიან, მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი ამ დოკუმენტების სიყალბე დადგენილია სხვა ეპიზოდში სასამართლოს განაჩენით და ნაწილი სიყალბე დოკუმენტებისა აღიარებულია შესაბამისი უწყების მიერ.

პროკურორების დანაშაულებრივ საქმიანობას დღემდე მფარველობს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექცია, რაზედაც ჩვენებაც მაქვს მიცემული 2013 წლის 26 აგვისტოს.

ყოველივე ამის შესახებ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ათჯერ მივმართე მთავარ პროკურორებს. 1 ოქტომბრამდე უფრო მეტჯერ, მათ შორის სამჯერ გიორგი ბადაშვილს, ამ უკანასკნელმა აბსოლუტურად უპასუხოთ დატოვა ჩემი საჩივრები.

ვინაიდან გ. ბადაშვილი და ე. ბესელია აშკარათ თავს არიდებდნენ ჩემი საჩივრების განხილვას ამიტომ იძულებული ვიყავი მომემართა თქვენთვის, მაგრამ როგორც ჩანს საჩივარმა თქვენამდე არ მოაღწია, იგი ორი თვენახევრის განმავლობაში მიჩუმათებული ჰქონდა თქვენს თანაშემწეს გიორგი რაზმაძეს, რომელსაც არ უნდოდა გახმაურებულიყო საჩივარი, რომ არ შექმნოდა უხერხულობა ე. ბესელიას საპროკურორო საბჭოში დასამტკიცებლად და უმტკივნეულოდ წასულიყო მთავარი პროკურორი. მოგვიანებით გიორგი რაზმაძემ და გედევან ფოფხაძემ მიიღეს გადაწყვეტილება საერთოდ მოეშორებინათ პარლამენტიდან ჩემი საჩივარი.

მაგრამ აღნიშნული ჩანაფიქრის განხორციელებაში მათ ხელს უშლიდა საჩივრის ფორმა, შინაარსი და სისხ. სამართლის საპროცესო კოდექსის 97 მუხლი, რომელშიც ნათქვამია, – მუხლი 97.1. საჩივარი არ შეიძლება განიხილოს იმ ორგანომ ან პირმა, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება საჩივრდება.

ამიტომ განზრახვის სისრულეში მოყვანისას, ბოროტად გამოიყენეს თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობა, რა დროსაც მოახდინეს გარემოების ფალსიფიკაცია, რამაც ასახვა ჰპოვა გ. ფოფხაძის მიერ გაგზავნილ წერილში ქ. თბილისის პროკურორთან მიხეილ შავყულაშვილთან, რომელშიც ჩემი №19355 საჩივარი შეცვლილი იყო, როგორც №19355 განცხადება, აგრეთვე შეცვლილი იყო არა მარტო სასაჩივრო მოთხოვნები, არამედ საჩივარში მოთხოვნილი პასუხის გამცემი დეპუტატი იმ პროკურორებით, რომელთა მოქმედებაც საჩივრდება.

ანალოგიური მოქმედება განახორციელა ე. ბესელიამ, როდესაც ჩემი განცხადებები გადაუგზავნა ქ. თბილისის პროკურორს რეაგირებისათვის და ითხოვდა რეაგირების შედეგზე პასუხს, მაგრამ პროკურატურამ არ ჩათვალა იგი პასუხის ღირსად, რასაც თვითონ ე. ბესელია ადასტურებს თავის 2014 წლის 7 ივლისის №6832/4-2 წერილში. ასე მიაჩუმათეს ჩემი განცხადებები.

ამჯერად ჩემი საჩივრის მიჩუმათება თავის თავზე აიღეს გ. რაზმაძემ და გ. ფოფხაძემ, რომლებიც დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდნენ ქ. თბილისის პროკურორ მიხეილ შავყულაშვილთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ქ. თბილისის პროკურორი ვალდებული იყო უკან დაებრუნებინა ჩემი საჩივარი, როდესაც ნახა, რომ საჩივრის ფორმა და შინაარსი რადიკალურად განსხვავებული იყო გ. ფოფხაძის წერილში სახეშეცვლილ საჩივრის ფორმასა და შინაარსს შორის, საჩივრის განხილვა აღემატებოდა ქ. თბილისის პროკურორის უფლებამოსილებას, ვინაიდან გასაჩივრებული იყო, მთ. პროკურორის გენ. ინსპექციის ქ. თბილისის და ქვემო ქართლის პროკურატურის ქმედებები.

აქედან გამომდინარე ქ. თბილისის პროკურორმა კი არ შეაჩერა სისხ. სამართლის საპროცესო კოდექსის 97 მუხლის I პუნქტის დარღვევის პროცესი, არამედ პირიქით უფრო გააღრმავა, როდესაც საჩივარი გადააგზავნა ქვემდგომ ინსტანციებში, იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ მიეჩუმათებინა საჩივარში წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებებით დადასტურებული დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დგინდება, რომ გ. რაზმაძემ და გ. ფოფხაძემ მოახდინეს დანაშაულებრივი, თვალთმაქცური გარიგება ქ. თბილისის პროკურორთან გ. შეყულაშვილთან ჩემი საჩივრის მიჩუმათების მიზნით.

აღნიშნულის განსახორციელებლად დაარღვიეს სისხ. სამართლის საპროცესო კოდექსის 97 მუხლის I პუნქტი, ხოლო დარღვევის გადაფარვა მოახდინეს გარემოების ფალსიფიკაციის გზით პარლამენტში.

შეზღუდეს, ჩემი როგორც ამომრჩევლის უფლებები პასუხი მიმეღო საჩივარზე ჩემი რ-ის დეპუტაციისაგან – ბ-ნ დავით უსუფაშვილისგან.

ყოველივე ამან ზიანი მიაყენა ჩემს კანონიერ ინტერესებს.

როგორც ხედავთ ჩადენილია ზემოაღნიშნული პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები. ე.ი. ჩადენილია დანაშაული გათვალისწინებული სისხ. სამართლის კოდექსის 332 და 333 მუხლებით.

აქედან გამომდინარე, ვითხოვდი აღნიშნულ ფაქტზე დაკითხვას, ხოლო მთ. პროკურორს ბ-ნ შოთაძეს აღეძრა სისხ. სამართლის საქმე გ. რაზმაძეზე, გ. ფოფხაძეზე და გ. შაყულაშვილზე.

ვინაიდან ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხდება მთავარი პროკურორების წაყრუებით და ხელდასხმით, რის გამოც პროკურატურაში დამკვიდრდა სისტემური დანაშაული, რაც გამოიხატება კანონების მასობრივ დარღვევებში, საჩივარ-განცხადებების მიჩუმათებაში. ჭარბი უმოქმედობებით დაფარვა ძველი დანაშაულებებისა, რაც არის პროკურატურის მხრიდან ჩადენილ დანაშაულებათა ერთობლიობა, რომელიც უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ჭარბი მოქმედებები, რომელსაც წინა ხელისუფლების დროს ჰქონდა ადგილი.

ამიტომ საჩივრის განსახილველად მოვითხოვე პარლამენტში შექმნილიყო საგამოძიებო კომისია, რომელიც საბოლოოდ წერტილს დაუსვამს პროკურატურაში შექმნილ კრიმინოგენურ ვითარებას, იმედი მქონდა, რომ კომისიის შექმნას ხელს ვერ შეუშლის კრიმინალ პროკურორების ხელშემწყობი და მფარველი დეპუტატები.

როგორც ჩანს ჩემს მიერ გაგზავნილ მიმართვას არც პრეზიდენტამდე, არც პარლამენტის თავმჯდომარემდე არ მიუღწევია.

პარლამენტში მისი ბლოკირება მოახდინა თქვენი კანცელარიის თანამშრომელმა მაია გოგიძემ, რომელმაც თავის თავზე აიღო თქვენი, როგორც დეპუტატის ვალდებულებები ამომრჩევლის წინაშე, შეიჭრა თქვენს უფლება-ვალდებულებებში, ‘განიხილა“ და თქვენს მაგივრად გასცა პასუხი თქვენს სახელზე გამოგზავნილ მიმართვას, რა დროსაც გამოავლინა უვიცობა, არაკომპეტენტურობა და დანაშაულის კერძოდ თაღლითობის ნიშნების შემცველი ქმედებები.

კერძოდ:

1. მაია გოგიძე თავის 2016 წლის 10 მარტს გამოგზავნილ №2202/1-7 წერილში, ჩემს მიერ გავზავნილ მიმართვას საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე იხსენიებს, როგორც წერილს, რითაც აკნინებს მის სტატუს, რომ შემდგომში გაამართლოს, რატომ არ მიუვიდა იგი ადრესატს.

2. იგივე მიზეზით ჩემს საჩივარს იხსენიებს, როგორც განცხადებას, რომ გაამართლოს სისხ. სამართლის საპროცესო კოლეგიის 97 მუხლი 1 პუნქტის დარღვევა.

3. ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ თითქოსდა ჩემი საჩივარი უკვე განხილული იყოს და მასზე გადაწყვეტილება იყოს მიღებული შესაბამისი უწყებების მიერ.

ცრუობს, იმიტომ რომ:

ა) ამის შესახებ არაფერი ვიცი მე, არც, და ვერც მაია გოგიძე აკონკრეტებს გადაწყვეტილების მიმღებს;

ბ) აღნიშნული საჩივარი გადაიგზავნა განსახილველად არაუფლებამოსილ პირებთან, სისხ. სამართ. საპროცესო კოდექსის 97 მუხლის 1 პუნქტის დარღვევით რ-ნის პროკურატურაში, რომლებიც ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებებს მთ. პროკურორების, მთ. პროკურატურის გენ. ინსპექციის თანამშრომლების და ა.შ., რაც მთავარია აღნიშნულ საჩივარზე ჩვენებაც კი არ ჩამომართვეს.

4. განსაკუთრებით უმოწყალოდ იტყუება მაია გოგიძე, როდესაც აცხადებს, რომ თითქოს – „პარლამენტის თავმჯდომარემ იმავე დღეს აღნიშნული „განცხადება“, რეზოლუციით, განსახილველად დააწერა კომიტეტს. აღნიშნული ჩანაწერი ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ პასუხისმგებლობა ააცილოს გიორგი რაზმაძეს.

სინამდვილეში მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდა.

საჩივრის შეტანიდან მესამე დღეს მივმართე კანცელარიის თანამშრომელს – თინიკოს, რომლისგანაც მივიღე ინფორმაცია, რომ ვინაიდან პარლამენტის თავმჯდომარე თბილისში არ იმყოფებოდა, საჩივარი გადაეცა ეკა ბესელიას, რასაც მოყვა ჩემი პროტესტი.

თინიკო დამპირდა, რომ საქმეში გარკვევის შემდეგ დამიკავშირდებოდა. მართლაც ცოტა ხანში გადმომირეკა და მითხრა, რომ საჩივარი გამოითხოვა და მოგვიანებით გადასცემდა პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწეს იურიდიულ საკითხებში – გიორგი რაზმაძეს. მოგვიანებით იმიტომ, რომ იგი შვებულებაში იმყოფებოდა, მომცა ტელეფონის ნომერი: 591-93-93-13 და მითხრა, რომ ერთ კვირაში დავკავშირებოდი, მართლაც ერთი კვირის შემდეგ შედგა ჩვენი საუბარი და მითხრა, რომ უმოკლეს დროში გადასცემდა საჩივარს ბატონ დავითს.

ასე ცრუობდა იგი პირველ დეკემბრამდე, რის შემდეგ დამინიშნა შეხვედრა პარლამენტის მოქალაქეთა მისაღებში, შეხვედრის დროს შევამჩნიე, რომ მას ხელში ეჭირა ჩემი საჩივარი რეზოლუციის გარეშე, რაზედაც მიპასუხა, რომ ბატონმა დავითმა ზეპირად დაავალა საჩივარზე რეაგირება და სასწრაფოდ შეცვალა საუბრის თემა და მითხრა, რომ ტყუილად უცხადებდი ეკა ბესელიას უნდობლობას, ვინაიდან მას დებულებით დაკისრებულ ვალდებულებების შესრულების განხორციელებაში ეწინააღმდეგებოდა პარლამენტის რეგლამენტი, როდესაც მოვთხოვე დაეზუსტებინა რეგლამენტის მუხლები და პუნქტები, მან სასწრაფოდ მოიმიზეზა შეხვედრაზე წასვლა და კარებთან მომაძახა, რომ განცხადებას და არა საჩივარს გადაუგზავნიდა გედევან ფოფხაძეს.

სწორედ ამის შემდეგ გედევან ფოფხაძემ 4 დეკემბერს განცხადებად მონათლული საჩივარი გადააგზავნა ქ. თბილისის პროკურატურაში.

ასე რომ იყოს, გამოდის რომ ბ-ნ დავითისათვის ცნობილი იყო ჩემი საჩივრისა და მიმართვის შესახებ და მისი ნებით თუ უნებლიე თანხმობით ზემოაღნიშნულმა პირებმა განახორციელეს დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებები. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან. ასევე გამოდის, რომ ყალბია თქვენი მიმართვა დეპუტატებისადმი, სადაც თქვენ მოუწოდებთ მათ, რომ ხშირი კომუნიკაცია იქონიონ ამომრჩევლებთან და დაეხმარონ მათ პრობლემების მოგვარებაში, რაც ჩემს შემთხვევაში თქვენი 6-თვიანი დუმილი აღრმავებს ჩემს პრობლემებს.

5. დაბოლოს, რაც ყველაზე მიუღებელი უნდა იყოს მაია გოგიძე ღებულობს გადაწყვეტილებებს, მიიღოს თუ არ მიიღოს განსახილველად პარლამენტმა პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი მიმართვა.

აქედან გამომდინარე უკვე მესამედ მოვითხოვ, როგორც თქვენი ამომრჩეველი, ჩვენი რ-ის დეპუტატისგან ბ-ნ დათო უსუფაშვილისგან, ჩემს საჩივარზე და მიმართვაზე თქვენს რეაგირებას, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ჩემი კანონიერი მოთხოვნები.

მთავარმა პროკურორმა მოახდინოს რეაგირება ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციაზე.

პრეზიდენტს ვთხოვდი კიდევ ერთხელ, კონტროლზე აიყვანოს და მონიტორინგი განახორციელოს ჩემი მიმართვისა და საჩივრის განხილვის მიმდინარეობაზე, რომელზეც დღემდე პასუხი არ მიმიღია.

**შენიშვნა:**

მე ვცადე მიმემართა ბატონ დავით უსუფაშვილისთვის საარჩევნო ბიუროს მეშვეობითაც, 2015 წლის ნოემბრის დასაწყისში, როცა შვებულებიდან გამოვიდა ბიუროს ხელმძღვანელი თამარ გიორგაძე, მან აღრიცხვაზე ამიყვანა, მითხრა, როცა ჩემი რიგი მოვიდოდა თვითონ დამიკავშირდებოდა, მაგრამ მე-5 თვეა, მიუხედავად ჩემი ტელეფონით შეხსენებებისა არ დამკავშირებია. ვინაიდან ჩემთვის ყველა მხრიდან მიუწვდომელი აღმოჩნდით, ამიტომ გადავწყვიტე ამჯერად ასეთი მეთოდით მომემართა.

**პატივისცემით, მ. კახაძე**
**22.03.2016 წ.**
**მცხოვრები ქ. თბილისი, კანდელაკის ქ.№13.**
**ტელ: 577-42-81-26**

# შემცირდა თუ არა ისლამურ სახელმწიფოში ჩრდილოკავკასიელების გადინება?

## დასავლელი ექსპერტების რეკომენდაციები

მარიამ მჭედლიშვილი

**ბელგიის ტერაქტების შემდეგ ხალიფატი და მისგან მომავალი საფრთხე ისევ მთავარ თემად იქცა. ტერორისტული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს მებრძოლთა რიგებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ კავკასიელები. ბრიუსელში მომხდარი ტერაქტების გამო დაკავებულ ეჭვმიტანილებში ერთი დაღესტნელია – მარატ იუნუსოვი. მან რამდენიმე წლის წინ მიიღო ბელორუსიის მოქალაქეობა, შემდეგ კი ორ ბელორუსთან ერთად ევროპაში დასახლდა.**

ბელორუსიის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ცნობით, ადგილობრივი „კაგებესთვის" სამივე მათგანის ვინაობა ცნობილია. კომიტეტს ისინი აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი.

ახლო აღმოსავლეთში ჩასული კავკასიელების ნაწილი სხვა შეიარაღებულ ფორმირებებსაც უერთდება. ორი დღის წინ ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა 37 წლის ყარაჩაი-ჩერქეზეთის მკვიდრ ტემირჟან ელსიმესოვს. მას ბრალი დაედო იმაში, რომ ცდილობდა მიერთებოდა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს სირიაში. კერძოდ, მას სურდა იმარატ კავკასიის დაჯგუფებასთან დაკავშირება. ელსიმესოვს ოწელიწადნახევრიანი პატიმრობა შეეფარდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ იგი თურქეთში ჩავიდა, სადაც შუამავლის საშუალებით მივიდა სირიის საზღვრამდე, მიიღო სამხედრო ფორმა და სხვა ნივთები. გამანაწილებელში მოხვედრის შემდეგ მისი მიზანი იყო მებრძოლების საწვრთნელ ბანაკში სამხედრო საქმის შესწავლა. ჩრდილოკავკასიელს გეგმის სისრულეში მოყვანაში ხელი შეუშალეს თურქეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა, რომლებმაც ის რუსეთის სპეცსამსახურებს გადასცეს.

დასავლელი ექსპერტები აღიარებენ, რომ მთლიანობაში, ჩრდილოეთ კავკასიიდან ახლო აღმოსავლეთში ახალგაზრდების გადინება შენელდა. თუმცა, კიდევ სერიოზული ღონისძიებებია გასატარებელი.

– იმისათვის, რომ შეჩერდეს ისლამური სახელმწიფოს გამაგრება ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან, რუსეთმა უნდა შეიმუშაოს დერადიკალიზაციის სტრატეგია, – ნათქვამია საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის მოხსენებაში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა.

კრიზისული ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ინტელექტუალური რესურსის გაერთიანება, დიალოგის წარმოება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, კორუფციასთან ბრძოლა და ახალგაზრდებისთვის თვითრეალიზაციის ხელშეწყობა.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ძალადობის გრადუსმა დაიკლო, მაგრამ რუსეთმა უნდა მოახდინოს ეფექტური დერადიკალიზაცია – შეწყდეს ზეწოლა ზომიერ სალაფიტებზე, რადიკალებს კი უნდა მიეცეთ იატაკქვეშეთიდან გამოსვლის საშუალება.

ექსპერტების ინფორმაციით, 2014 წლის მეორე ნახევრიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან ახლო აღმოსავლეთში შემცირდა ხალხის ჩასვლა, მაგრამ ამასთან, ძლიერდებოდა ზეწოლა ზომიერ სალაფიტებზე. ეს შეინიშნებოდა დაღესტანში, ასევე ჩეჩნეთში, სადაც პოლიტიკა მათ მიმართ ტრადიციულად მკაცრია.

კრიზისული ჯგუფი დადებითად აფასებს ინგუშეთის ლიდერის იუნუს-ბეკ ევკუროვის პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ეს პოლიტიკა არაკონფრონტაციულია. ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებმა მას უნდა მიბაძონ. ამ შემთხვევაში ხალიფატის რიგები კავკასიელებით აღარ შეივსება.



ბრიუსელის ტერაქტში ეჭვმიტანილია ერთი დაღესტნელი

# „ნეზავისიმაია გაზეტა": მარგველაშვილმა ქართველ დიპლომატებს მეტი პრინციპულობა მოსთხოვა



რუსული გამოცემა „Независимая газета", საქართველოს პრეზიდენტის იმ განცხადებას ეხმაურება, სადაც მარგველაშვილმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე გააკრიტიკა და მას კარასინისთვის სათანადო პასუხის გაუცემლობის გამო უსაყვედურა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

– ჟენევაში საქართველოს უსაფრთხოების შესახებ საერთაშორისო კონსულტაციების 35-ე რაუნდი გაიხსნა. თუ იმ განცხადებების მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორიც თბილისში შეხვედრის წინ გაისმა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ქართული მხარე მოლაპარაკებაზე მკვეთრი და ხისტი ტონით გამოვა. პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თვლის, რომ ქართველი დიპლომატები ზოგჯერ ძალიან „დიპლომატიურად" მოქმედებენო, – ნათქვამია სტატიის დასაწყისში (ავტორი იური როქსი).

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, ქართულ მხარეს დაგეგმილი აქვს დღის წესრიგში რამდენიმე საკითხი იქნეს განხილული: მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილება საოკუპაციო ხაზზე, ქართული ენის სწავლების საკითხი გალის რაიონის სკოლებში და ა.შ. გარდა ამისა, განზრახულია აგრეთვე ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზეც მსჯელობა.

როგორც თანასწორობისა და სამოქალაქო შერიგების სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი ამბობს, ცალკე იქნება განხილული შიდა ქართლში, გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენში და საერთოდ, ქართულ-ოსურ „საზღვრისპირეთში" შექმნილი ვითარება. ამასთან დაკავშირებით სტატიაში ვრცლადაა გადმოცემული ჯარიაშენში ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის მცდელობები, რომლის შედეგად სახნავ-სათესი მიწები მავთულხლართების მიღმა აღმოჩნდა.

– სხვათა შორის, ქართულ მხარეს ადრეც არაერთხელ დაუყენებია გამიჯვნის პროცესთან დაკავშირებული საკითხები, რასაც რუსი სამხედრო მოსამსახურეები (მათ თბილისი ოკუპანტებს უწოდებს) ახორციელებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, პროტესტები არაეფექტური აღმოჩნდა, რადგა ამ პრობლემამ თავი უკვე სხვა ადგილსაც იჩინა, – წერს ავტორი.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის განმარტებას ჟენევაში ქართული მხარე მოითხოვს, ესაა იტალიაში „სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობის" გახსნის საკითხი. მართალია, თბილისი აცხადებს, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთ-იტალიის მეგობრობის საზოგადოების" თავმჯდომარის, ვინმე მაურო მურჯას მცდელობა უნაყოფოა, რადგან იტალია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებსო, ქართული მხარე მაინც დააყენებს ამ საკითხს შეხვედრაზე.

ზოგადად, ეს ყველაფერი საქართველო-რუსეთის ურთიერთობასთანაა დაკავშირებული, რომლის ხასიათი ამ ბოლო ხანებში გაუარესდა. საქართველოს დელეგაციის ჟენევის მოლაპარაკებაზე გამგზავრების წინ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ტელეგამოსვლის დროს ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის პრაღის მოლაპარაკების ფორმატს შეეხო და აღნიშნა, რომ ქართული მხარე შეხვედრების დროს ძალიან დიპლომატიურად იქცევა, მაშინ როცა რუსული მხარე აგრესიულობას ამჟღავნებსო. მას მხედველობაში ჰქონდა გრიგორი კარასინის მიერ ჟურნალისტებთან გაკეთებული განცხადება, რომ ოფიციალური თბილისის გამონათქვამებში ანტირუსული ტონი გაძლიერდა. გარდა ამისა, მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ რომ „აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების" ფორმატი უნდა შეიცვალოს.

როგორც ცნობილია, თავდაპირველი შეთანხმების მიხედვით, პრაღის მოლაპარაკებაზე მხოლოდ ეკონომიკური და კულტურულ-ჰუმანიტარული საკითხები განიხილება.

– ის, რომ გრიგორი კარასინმა პოლიტიკური ხასიათის განცხადება გააკეთა, ეს მართალია, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მან საქართველოს მოქმედება გააკრიტიკა არა უშუალოდ მოლაპარაკებაზე, არამედ მის ჩარჩოებს გარეთ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას, – აღნიშნავს სტატიის ავტორი და წერს, რომ დამკვირვებლების აზრით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ხისტი გამოსვლა ერთგვარი მითითება იყო ქართული დელეგაციისათვის – ჟენევის მოლაპარაკებაზე პოზიციები უფრო მტკიცედ და პრინციპულად დაიცვან.

**ნიუსპრესი**

# რიჩარდ მაილსი: „სააკაშვილის უკრაინულ მოღვაწეობას თვალს მხოლოდ გასართობად ვადევნებ"



ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის საქართველოში, რიჩარდ მაილსის განცხადებით, ის უკრაინაში სააკაშვილის მოღვაწეობას მხოლოდ გასართობად ადევნებს თვალყურს.

ამის შესახებ მაილსმა რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან" საუბარში განაცხადა.

– გულწრფელად გითხრათ, სააკაშვილის უკრაინულ მოღვაწეობას უფრო გართობისთვის ვადევნებ თვალყურს. უცნაურად მეჩვენება როცა დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტი სხვა ქვეყნის გუბერნატორი ხდება, რაც არ უნდა მნიშნელოვანი მხარე იყოს ის.

ოდესა ნამდვილად არის მნიშვნელოვანი ადგილი. უბრალოდ მე ეს უცნაურად მეჩვენება. ვიცი რომ პრეზიდენტი სააკაშვილი უკრაინულად საუბრობს, განათლება უკრაინაში აქვს მიღებული, არსებობს მიზეზები რატომაც არის ახლა იქ, მაგრამ ჩემთვის ეს უცნაურია, – აცხადებს მაილსი.

**ნიუსპრესი**

# უკრაინული პრესა: „სააკაშვილის მიერ უკრაინაში ჩამოყვანილ პირებს შორის ბევრი ძებნილია"

უკრაინული პორტალი „Информационный центр", იმ პერსონებზე წერს, რომლებიც საქართველოდან სამუშაოდ უკრაინაში გადავიდნენ და იქ თანამდებობებს დღემდე იკავებენ.

პორტალი წერს, რომ ამ ჩინოვნიკების უმრავლესობას სამშობლოში სხვადასხვა დანაშაულისთვის ბრალი აქვთ წაყენებული.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ ფრაგმენტს სტატიიდან:

– ახლა გადავიდეთ ჩვენი გამოკვლევის მეორე თავზე, რომელშიც ქართველი ხალხის კიდევ რამდენიმე „საუკეთესო წარმომადგენლების" საქმიანობას გაგაცნობთ ჩვენს ქვეყანაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩამოყვანილი პირების სია საკმაოდ ვრცელია და მასში ძალიან ბევრ ისეთ ადამიანს დაინახავთ, რომლებიც უცნობია როგორც უბრალო უკრაინელებისთვის, ასევე თვით ქართველებისთვისაც. ამიტომაც ვისაუბროთ „რეფორმატორთა გუნდზე", რომლის წევრები ოდესის გუბერნატორის მოიწვია.

გიორგი ცხაკაია – ოდესის ოლქის გუბერნატორის მრჩეველია, მუშაობდა საქართველოს შემოსავლების უწყების ხელმძღვანელად. დავაზუსტებთ: სწორედ გიორგი ცხაკაია დგას ოდესის საბაჟოს უფროსის, არაპროფესიონალ იულია მარუშევსკაიას ზურგს უკან. გიორგი ცხაკაია ფორმალურად საბაჟოს უფროსის მოადგილეა, მაგრამ რეალურად ყველა გადაწყვეტილებას ის იღებს;



ლევან დუჩიძე – მუშაობს ბიზნეს-ანალიტიკოსად და საგარეო კავშირების კოორდინატორად ორგანიზაცია „ინიციატივები უკეთესი უკრაინისათვის". საქართველოში კი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე იყო;

სერგო ქავთარაძე – ტრენინგებისა და ელექტრონული შესყიდვების კოორდინატორი ოდესის ოლქში. მუშაობდა თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელად. იძებნება ქართველი სამართალდამცველების მიერ, საბიუჯეტო თანხების განიავების გამო;

მერიკო კოკაია – ოდესის გუბერნატორის თანაშემწე მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში;

დავით ჩანტლაძე – საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში მუშაობდა, დღეს კი ოდესის ოლქის გუბერნატორის ადმინისტრაციაში მუშაობს (თანამდებობა ვერ გავარკვიეთ);

თემურ ნიშნიანიძე – ოდესის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი, მანამდე კი ოდესაში საქართველოს გენერალურ კონსულად მუშაობდა. საინტერესოა, რომ 2010 წელს, როცა დონეცკში მუშაობდა საქართველოს გენკონსულად, იგი შემჩნეულია უკანონო ქმედებებში: ხელს უწყობდა დონბასში ქართველების ჩაყვანას არჩევნების ჩაშლის მიზნით;

საერთოდ კი, ომზე საუბრისას, უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ირაკლი ქურასბედიანი დღეს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ბატალიონ „დონბასის" ინსტრუქტორია, იქვეა საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი პოლკოვნიკი დავით მარტიაშვილიც, რომელსაც ადრე თელავის ბატალიონის უფროსი იყო, – წერს გამოცემა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ყველაზე მსუქანი კოლუმბიელი საავადმყოფოში სახანძრო მანქანით გადაიყვანეს



ყველაზე მსუქანი კოლუმბიელი ადამიანი ოსკარ ვასკეს მორალესი წონის დასაკლებად საავადმყოფოში სახანძრო მანქანით გადაიყვანეს. ქალაქ პალმირას 400 კილოგრამიანი მცხოვრები მანქანაში 20-მა მამაკაცმა ჩატვირთა.

44 წლის კოლუმბიელს სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა, მაგრამ მან დამოუკიდებლად სახლიდან გასვლა ვერ მოახერხა. ადგილობრივ საქველმოქმედო საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ ექიმებმა მორალესის ჯანმრთელობის მდგომარეობის ნორმალიზება შეძლეს.

კოლუმბიელს დიეტოლოგთან, ფსიქოლოგთან, თერაპევტთან და გასტროქირურგთან გამოკვლევის გავლა მოუწევს. მას იმედი აქვს, რომ ოთხ წელიწადში 300 კილოგრამის დაკლებას შეძლებს, რათა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

# ტანსრულმა მოდელმა გარბენში მიიღო მონაწილეობა



ნიუ-იორკში ტანსრულმა მოდელმა, რომელიც 50 ზომის ტანსაცმელს იცვამს, კენდის ჰაფინმა ნახევრად მარათონი გაირბინა. მედლით გადაღებული ფოტოსურათი, რომელიც მას ფინიშის შემდეგ გადასცეს, გოგონამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– ეს დღე ჩემთვის იყო ტკივილიანი, მწარე, მაგრამ ამავე დროს წარმოუდგენლად კარგი. ეს ნახევრად მარათონი ჯადოსნური იყო და მზად ვარ გავიმეორო, – მიაწერა საკუთარ სურათს კენდისმა.

ტანსრული მოდელის აკაუნტს ინსტაგრამში 115 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 31 წლის ჰაფინმა გარბენში მონაწილეობის მიღება და ამისთვის რამდენიმეთვიანი ვარჯიში არა იმის გამო გადაწყვიტა, რომ წონაში დაკლება სურდა, არამედ უბრალოდ სურდა ყველასთვის დაემტკიცებინა, რომ ცხოვრების აქტიურ წესს მისდევს და მიუხედავად თავისი ტანსრულობისა, სპორტითაა დაკავებული.

# ახალზელანდიელი კატა მამაკაცის ტრუსებს იპარავს



ახალი ზელანდიის ქალაქ ჰამილტონის მცხოვრებმა სარა ნათანმა განაცხადა, რომ მისმა კატამ სახელად ბრიჯიტმა დაახლოებით 60-მდე მამაკაცის ტრუსი და წინდა მოიპარა. მას მამაკაცის თეთრეული ორი თვის მანძილზე ყოველ დილით მოჰქონდა სახლში.

ექვსი წლის ცხოველის პატრონმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ბოდიში მოიხადა, მისი შინაური ცხოველის ქმედების გამო და მოპარულის პატრონებისთვის დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ამ პოსტმა, რომელსაც დართული ჰქონდა ფოტოსურათი, რომელზეც კატა და მის მიერ მოპარული მამაკაცის საცვლები იყო გამოსახული, თითქმის ათასხუთასი მოწონება მიიღო.

ჰამილტონელმა ქალბატონმა ივარაუდა, რომ თეთრეული მის ერთ-ერთ მეზობელს ეკუთვნის. მისი თქმით, ექვსი თვის წინ, ახალ სახლში გადასვლამდე, ბრიჯიტი ასევე იპარავდა ნივთებს, თუმცა ბევრად უფრო იშვიათად.

# კალიფორნიელმა პენსიონერმა კამბოჯელი ქალი იშვილა



აშშ-ში 96 წლის ქალაქ ფრესნოს (კალიფორნიის შტატი) მცხოვრებმა 30 წლის კამბოჯელი ქალი იშვილა. შესაბამის საბუთებს ხელი ნახევარი წლის წინ მოეწერა.

ბერნის დაიკი ჩენდრე კაუბ ჩამბს მას შემდეგ ეხმარებოდა, რაც მან საშუალო სკოლა დაამთავრა. კამბოჯელმა ამერიკაში ჩასვლა ბერნის შვილის რიკი დაიკის წყალობით შეძლო, რომელიც 2003 წელს კამბოჯაში გაიცნო, სადაც მამაკაცს სკოლა ჰქონდა გახსნილი. მან ჩამბს ურჩია, სწავლა აშშ-ში გაეგრძელებინა.

კალიფორნიაში ჩასვლის შემდეგ კამბოჯელი დაიკის ოჯახში ცხოვრობდა. ახლა ის ფრესნოს უნივერსიტეტში მაგისტრის ხარისხს იღებს ქორწინებისა და ოჯახური კონსულტაციების საკითხებში.

ჩამბის ბიოლოგიური დედა კამბოჯაში ცხოვრობს და ის ყოველ წელს ჩადის მის სანახავად.

ალსანიშნავია, რომ ბერნის დაიკი შესაძლოა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს, როგორც მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული დედობილი.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს.**
**ტელ: 599-25-50-50.**

# პრინცმა ჰარიმ ვეფხვი განასახიერა



ბრიტანეთის პრინცმა ნეპალის ეროვნულ პარკ ბარდიაში სტუმრობის დროს ვეფხვის მოძრაობის იმიტირება გააკეთა და ხაფანგი-კამერების წინ გაიარა. ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი საფარიზე იმისთვის ჩავიდა, რომ პარკის პროგრამებს გაცნობოდა, რომლებიც ველურ ბუნებას ეძღვნება და ასევე ენახა ცხოველები.

ორმა ხაფანგმა-კამერამ, რომლებსაც ვეფხვების ღამით გადაადგილება უნდა დაეფიქსირებინათ, ვერაფერი აჩვენა. მაშინ გიდმა პრინცს შესთავაზა ცხოველის მოძრაობები გაემეორებინა, რათა მოწყობილობის მუშაობა შეემოწმებინათ. ჰარიმ კამერების წინ ვეფხვის მოძრაობები გაიმეორა.

ამის შემდეგ პრინცმა თავისი და პარკის ტერიტორიაზე მობინადრე ვეფხვების სურათები შეადარა.

– ისეთი კარგი არ არის, როგორიც ნამდვილი ვეფხვებისაა, – განაცხადა პრინცმა ჰარიმ.

ბარდიას ეროვნულ პარკში 50 მეტი ვეფხვი ბინადრობს და ასევე 52 სახეობის სხვადასხვა ძუძუმწოვარა ცხოველი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**



✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

# ასადის მხარეს ჩრდილოეთ კორეის ჯარისკაცები იბრძვიან




სირიის ზომიერი ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა აზ-ზოუბიმ განაცხადა, რომ დიქტატორ ასადის არმიაში ჩრდილოეთ კორეის რეგულარული არმიის ჯარისკაცებიც იბრძვიან.

– ისინი საოცარი დაუნდობლობით გამოირჩევიან, – თქვა აზ-ზოუბიმ.

ჩრდილოეთ კორეელების გარდა, ასადის არმიაში ავღანელები და ირანელებიც არიან.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


# განცხადებები

## იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

## მკურნალობა

● ხანგრძლივიპრაქტიკულიდაკლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

●სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიები) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# 18 წლამდე მორაგბეები ევროფინალში ისევ საფრანგეთს შეხვდებიან



ლისაბონში მიმდინარე 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში უმცროსი ბორჯღალოსნები პორტუგალიელ თანატოლებს შეხვდნენ და ფინალში გასასვლელ რკენაში 29:10 სძლიეს.

პირველ ტაიმში 18-წლამდელებმა სამი ლელო დადეს, სამივე არსენ მაჩალაძის ანგარიშზეა, რომელიც მატჩის გმირი გახდა.

მეორე ტაიმის დებიუტში ჯარიმით ანგარიში გელა აფრასიძემ გაზარდა – 24:10, რომელმაც პირველ ნახევარში ყველა ლელო გარდასახა. ტაიმის შუაწელში კი ლელო ლუკა მარგიანმა დადო, რომელიც აფრასიძემ ვერ გარდასახა და საბოლოო ანგარიში 29:10 დაფიქსირდა.

წინ ფინალია, რომელიც 26 მარტს გაიმართება. მეორე ნახევარფინალურ მატჩში მოქმედი ჩემპიონი საფრანგეთი ბელგიას ეთამაშა და მეტოქე 62:3 დაამარცხა. ამრიგად, შარშანდელის მსგავსად, ფინალში კვლავ საფრანგეთისა და საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებები – ევროპის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ერკინებიან.

**საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალური მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა:**

მამუკაშვილი, ნარიმანიძე, ჯალაღონია, ხამაშურიძე, კალანდაძე, აფრასიძე, კიკვაძე; გოგიჩაშვილი, ზამთარაძე, შათირიშვილი, საღინაძე, ჯაიანი, მამამთავრიშვილი, გიგოლაშვილი, მაჩალაძე;

**მარქაფა:** ნუცუბიძე, პაპიძე, აზარიაშვილი, გრიგალაშვილი, ხეტაშვილი, წიკლაური, მარგიანი, ხურცილავა, ხარაზიშვილი

# საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები კვალიფიკაციას დანაკლისით ხვდება



8-10 აპრილს თბილისი 20 წლამდე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს უმასპინძლებს, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს, სერბეთის, საბერძნეთისა და ისრაელის ნაკრები გუნდები მიიღებენ. ფინალურ ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული გუნდი გადის.

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები განაგრძობს მზადებას ამ ტურნირისთვის და დღეიდან ხუთდღიან შეკრებას გაივლის დუშეთში, რომლის შემდეგ უკრაინაში გაემგზავრება, სადაც 3 საკონტროლო მატჩს გამართავს.

მწვრთნელებს, ირაკლი კეკელიძესა და ანდრეი პორტნოის გაფართოებულ შემადგენლობაში 26 ხელბურთელი ჰყავდათ და ბოლო ვარჯიშზე მათი რიცხვი 17-მდე დავიდა.

დუშეთში ნაკრები ასეთი შემადგენლობით ივარჯიშებს:

**მეკარეები:** ირაკლი ხიდეშელი (თუთუნსფორი, თურქეთი), ზურაბ ცინცაძე (პეგასი), სანდრო ხანდოლიშვილი (ქარიშხალა);

**მარჯვენა გარემარბები:** ირაკლი გოგოლაძე (სამტრედია), გიორგი დიხამინჯია (პეგასი);

**მარჯვენა შუამარბები:** გიორგი ცხოვრებაძე (პეგასი), ლუკა ბულბულაშვილი (ქარიშხალა), გიორგი ტიელიძე (გორი);

**პივოტები:** ჯაბა ხაჟომია (სამტრედია), ერეკლე არსენაშვილი (სტუ);

**გამთამაშებლები:** გიგა ზარნაძე (პეგასი), გიგი ფერაძე (ქარიშხალა), ირაკლი კბილაშვილი (ქუთაისი);

**მარცხენა შუამარბები:** გივი გიორგაძე (სამტრედია), ზეზვა იობაშვილი (იმედი);

**მარცხენა გარემარბები:** ლევან მამულაშვილი (ქარიშხალა), ხაზეინ რუსტამოვი (ქუთაისი).

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი სპორტის ახალ სასახლეში გაიმართება.

**8 აპრილი:** სერბეთი-ისრაელი (16:00), საქართველო-საბერძნეთი (18:00);
**9 აპრილი:** საბერძნეთი-სერბეთი (16:00), ისრაელი-საქართველო (18:00);
**10 აპრილი:** ისრაელი-საბერძნეთი (16:00), სერბეთი-საქართველო (18:00);

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# მარიო გიოტცე შეიძლება დორტმუნდის ბორუსიაში დაბრუნდეს



მარიო გიოტცე წლევანდელ სეზონში საკმაოდ იშვიათად გამოდის მოედანზე, რის გამოც მან ეროვნულ ნაკრებშიც შესაძლოა დაკარგოს ადგილი. არ არის გამორიცხული, რომ ბაიერნმა მარიო გაყიდოს, უფრო მეტიც, შესაძლოა, გიოტცე თავის ყოფილ გუნდში, დორტმუნდის ბორუსიაში გადავიდეს სათამაშოდ.

ბაიერნში გიოტცე 2013 წელს გადავიდა და მასში მიუნხენელებმა 37 მილიონი ევრო გადაიხადეს. აქედან გამომდინარე, ბაიერნი გიოტცეს იაფად არ გაყიდის, ამიტომ თუ ბორუსიას მისი დაბრუნება სურს, ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევს.

მარიო გიოტცემ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალში გადამწყვეტი გოლის გატანა შეძლო, მაგრამ მას შემდეგ მისი კარიერა ისე არ განვითარდა, როგორც ბევრი ელოდა.

# რაჰიმ სტერლინგი ორ თვეს გამოტოვებს



მანჩესტერ სიტის ახალგაზრდა ფორვარდმა რაჰიმ სტერლინგმა ტრავმა მიიღო, რომლის გამოც მას ფეხბურთის გარეშე ყოფნა ორი თვე მოუწევს.

სტერლინგმა დაზიანება მანჩესტერ იუნაიტედთან შეხვედრის დროს მიიღო, რომელიც მისმა გუნდმა საკუთარ მოედანზე 0:1 წააგო.

თავიდან ვარაუდობდნენ, რომ სტერლინგი მხოლოდ ერთ თვეს გამოტოვებდა, მაგრამ გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ტრავმა უფრო სერიოზულია და ახალგაზრდა ფეხბურთელი მინიმუმ 6 კვირა არ ითამაშებს.

სტერლინგი სიტიში გასული წლის ზაფხულში გადავიდა და მასში 49 მილიონი ევრო გადაიხადეს. ჯერჯერობით, მან გაცემული ავანსები მხოლოდ სანახევროდ გაამართლა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ვაისმა პირველი ვარჯიში გამართა, ყაზახეთი თურქეთში ემზადება

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 29 მარტს ამხანაგურად ყაზახებს გაეჯიბრება. ეს იქნება პირველი მატჩი ვადიმირ ვაისის ხელმძღვანელობით, რომელმაც მომავალი მატჩისთვის გუნდი თბილისის ზღვაზე მდებარე საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის ბაზაზე ავარჯიშა.

იმერული კლუბის თბილისური ბაზა იდეალურ მდგომარეობაშია და ფეხბურთელებს იქ შესანიშნავი პირობები დახვდათ.

ვაისის გუნდის საწვრთნელი პროცესი საათზე მეტს გაგრძელდა, რომელშიც მონაწილეობა საბა კვერკველიას გარდა ყველა ფეხბურთელმა მიიღო. ყაზანის რუბინის ცენტრალურმა მცველმა საწვრთნელი პროცესი მიკროტრავმის გამო გამოტოვა. კვერკველიამ ინდივიდუალურად ივარჯიშა, მაგრამ იმედოვნებენ, რომ გუნდს მალე შეუერთდება.

ცნობილია იმ მწვრთნელების ვინაობაც, ვინ ვაისს ეროვნულ ნაკრებში დაეხმარება: მეკარეების მწვრთნელი დავით გვარამაძე იქნება, ხოლო ასისტენტი – ჯოზეფ კონტირი. ფიზიკური მომზადების მიმართულებით რომან შვანტნერი იმუშავებს.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა განაცხადა, ფედერაცია მუშაობს იმ კუთხით, რომ ვაისის სამწვრთნელო შტაბში კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდეს.

სხვათა შორის, ვაისი საქართველოს მეტოქის, ყაზახეთის ნაკრების თავკაცადაც მოიაზრებოდა, რომელსაც სადღეისოდ მწვრთნელთა კვარტეტი ჰყავს – ტალგატ ბაისუფინოვი, ნურკენ მაზბაევი, ანდრეი ფერაპონტოვი და იური ნოვიკოვი.

კვარტეტმა გუნდი საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩამდე



მოსამზადებლად თურქეთში წაიყვანა და 26 მარტს აზერბაიჯანელებთან ისპარინგებს.

„მწვრთნელთა საბჭოს“ გადაწყვეტილებით გამოძახებულთა შორის მხოლოდ ერთი ლეგიონერია – როსტოვის მეკარე სტას პოკატილოვი. გუნდი კი ანთალიაში ასეთი შემადგენლობით გაფრინდა:

**მეკარეები:** დავით ლორია (ირტიში), სტას პოკატილოვი (როსტოვი, რუსეთი), ვლადიმირ პლოტნიკოვი (ქაირათი);

**მცველები:** გაფურჟან სუიუმბაევი, მუხტარ მუხტაროვი (ორივე ორდაბასი), დმიტრი შომკო, იური ლოგვინენკო, აბზალ ბეისებეკოვი (ყველა ასტანა), ელდოს ახმეტოვი, სერგეი მალი (ორივე ირტიში);

**ნახევარმცველები:** სამატ სმაკოვი (აქტობე), სერიჟკან მუჟიკოვი, ასხატ ტაგიბერგენი (ორივე ასტანა), ჟაკიპ კოჟამბერდი (ოკჟეტპესი), ისლამბეკ კუატი, ბაუირჟან ისლამხანი (ორივე ქაირათი), მაქსატ ბაიჟანოვი (შახტიორი), ულან კონისბაევი (ატირაუ), ტიმურ დოსმაგამბეტოვი (ტობოლი), აზატ ნურგალიევი (ორდაბასი);

**თავდამსხმელები:** ალექსეი შჩეტკინი (ასტანა), სერგეი ხიჟნიჩენკო (ტობოლი).

შეგახსენებთ, რომ მატჩი 29 მარტს ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე 21 საათზე დაიწყება.

# მოურინიოს ბეილი უნდა

## მანჩესტერული კლუბები რეალსა და ბაიერნს ეჭიდავებიან



ჯერ ზაფხული არ დამდგარა, მაგრამ გუნდები უკვე იბევებენ თავიანთვის სასურველ ფეხბურთელებს.

მოგეხსენებათ, მადრიდის რეალი დორტმუნდელი ფორვარდის, ობემიანგის გადაბირებით არის დაინტერესებული, მაგრამ ბრიტანულ პრესაზე დაყრდნობით, ფლორენტინო პერესს მანჩესტერ იუნაიტედის სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

წითლები მზად არიან, ფეხბურთელის სანაცვლოდ საკმაოდ მაღალი თანხა გადაიხადონ.

ეს არ არის მანჩესტერელთა პირველი ნაბიჯი რეალთან კონკურენციისთვის. მალე მანჩესტერელთა მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიუ გახდება, რომელიც უკვე იწყებს გუნდის გაძლიერებაზე ფიქრს და აქტიური სატრანსფერო კამპანიის წარმოებას გეგმავს.

ჟოზე მოურინიო მადრიდელთა ერთ-ერთ მთავარ ფიგურას, გარეთ ბეილს ესაუბრა. როგორც ბრიტანული მედია წერს, მოურინიომ პირადად დაურეკა გარეთ ბეილს და საოცნებო კონტრაქტი შესთავაზა. ჟოზეს სურს, რომ მისი ახალი პროექტის მთავარი შემოქმედი სწორედ უელსელი ფეხბურთელი გახდეს.

კულუარული ინფორმაციით, მანჩესტერელები ბეილში 130 მილიონი ევროს გადახდას აპირებენ. მათი შეთავაზება 6 წლიანი იქნება, ხელფასის სახით კი 22 მილიონი ევროს განსაზღვრას გეგმავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბეილი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

მეორე მანჩესტერული კლუბი სიტი კი, მიუნხენის ბაიერნს „ეჭიდავება“. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში ბავარიელთა ამჟამინდელი თავკაცი პეპ გვარდიოლა კარიერას სიტიში გააგრძელებს, ხოლო მის ნაცვლად ბაიერნს კარლო ანჩელოტი ჩაიბარებს.

გავრცელდა ხმები, რომ გვარდიოლა ბაიერნიდან სიტიში რამდენიმე ფეხბურთელს გაიყოლებს. გერმანული კლუბის აღმასრულებელი დირექტორი კარლ-ჰაინც რუმენიგე კი ამ ხმებს უარყოფს.

– ძალიან გამიკვირდა, როდესაც ბაიერნიდან მანჩესტერ სიტიში ფეხბურთელთა შესაძლო გადასვლაზე შევიტყვე. ყოველ ფეხბურთელს აქვს კონტრაქტი, რომელსაც დაცვა სჭირდება. ბაიერნი მუდმივად ცდილობს, ძლიერი გუნდი იყოს. ეს ჩვენი მიზანია. ჩვენ უკვე შევძელით, კონტრაქტთან დაკავშირებით შევთანხმებულიყავით ალაბასთან, რათა მომავალში რომელიმე ინგლისური კლუბი მასთან დაკავშირებით გიჟური წინადადებით არ გამოვიდეს.

თუმცა, ფეხბურთში ფული ყველაფერს განაგებს და არ არის გამორიცხული, სარფიანი კონტრაქტის გამო რამდენიმე ფეხბურთელმა გეზი ნისლიანი ალბიონისკენ აიღოს.

ვერ გეტყვით ვინ წავა სიტიში, მაგრამ დიდი შანსია მიუნხენელთა ნახევარმცველი მარიო გიოტცე დორტმუნდში.

2014 წლის მუნდიალის ფინალში გადამწყვეტი ბურთის ავტორი რეკორდმაისტერში 2013 წელს გადავიდა. მიმდინარე სეზონში მარიომ მხოლოდ 8 მატჩი ჩაატარა, რაც ძალიან არ ხიბლავს. ამასთან, დორტმუნდის ხელმძღვანელობასაც ძალიან სურს რომ გიოტცემ ისევ შავ-ყვითელი მაისური მოირგოს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# პორტუგალიისა და ბელგიის ნაკრებს შორის შეხვედრა ბრიუსელიდან ლეირიაში გადაიტანეს

ბრიუსელში მომხდარი ტერაქტის გამო ბელგიასა და პორტუგალიას შორის შეხვედრა ლეირიაში გადაიტანეს. მატჩი, როგორც დაგეგმილი იყო, 29 მარტს გაიმართება.

ეს გადაწყვეტილება პორტუგალიის და ბელგიის საფეხბურთო ფედერაციებმა ერთად მიიღეს.

ბელგიაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა გამოხმაურება საფეხბურთო წრეებშიც ჰპოვეს და ბელგიის ნაკრების კაპიტანმა ვინსან კომპანიმ თავის ხალხს სიმამაცისკენ მოუწოდა. კრიშტიანო რონალდუმ განაცხადა, რომ მას ესმის თუ რატომ არ სურთ ბელგიელ ფეხბურთელებს თამაში. მიუხედავად ამისა, ეს მატჩი მაინც გაიმართება, ოღონდ პორტუგალიაში.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## მკურნალი მცენარე



**თავშავა** – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ქართლში მას შავბალახას ეძახიან, რაჭაში ჩაის პიტნას, აჭარაში ისხანს. მისი ნახვა შესაძლებელია მინდორში, ტყეში, ბუჩქნარებში აქვს წვრილი, მოვარდისფრო-მეწამული ყვავილები.

თავშავას ფოთლები შეიცავს: ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და ასკორბინის მჟავას. თავშავას ბალახს მეფუტკრეები იყენებენ ჩრჩილისა და ჭიანჭველების საწინააღმდეგოდ. ეს მწერები თავშავას ეთერზეთების სურნელებას გაურბიან. ქართულ ხალხურ მედიცინაში იგი მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, რომელსაც მეტწილად ყვავილობის პერიოდში ხმარობენ, თავის ტკივილის, ქოშინის, კუჭ-ნაწლავთა დაავადების, უძილობის შემთხვევაში. საუკეთესოა ყვავილებისა და ფოთლების ნახარში ბრონქიტის დროს, როგორც ამოსახველებელი საშუალება. სოფლის მოსახლეობა თავშავას ნედლ ბალახს იყენებს ჩაის მაგივრად, რომელიც მეტად სასიამოვნო და არომატულია. იგი რეკომენდებულია ნერვებაშლილობის, უმადობის, სიყვითლის, ეგზემის დროს. აგრეთვე ჭრილობების მოსაბანად.

* * *

**პიტნა**– ბაღის პიტნა მრავალწლიანი, 50-70 სმ სიმაღლის, ბალახოვანი მცენარეა. მისი ფოთლები ჯვარედინადაა განლაგებული. ყვავილები ღია ან მოწითალო ვარდისფერია.

პიტნა ყვავის ივლისის დასაწყისიდან სექტემბრამდე. მკურნალობის მიზნით, გამოიყენება როგორც ბაღის, ასევე მთის პიტ-



ნაც. იგი შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რომელთა ძირითადი ნაწილი მენთოლისგან შედგება, რომელიც შედის უამრავი სამკურნალწამლო საშუალების შედგენილობაში.

პიტნის ჩაი გამოირჩევა ოფლისმომდენი, სპაზმისმომხსნელი, წნევისდამწევი, მსუბუქად დამამშვიდებელი ეფექტით. სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი და ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადების დროს. მისი ფოთლების ნაყენი ამცირებს გულისრევის შეგრძნებას, აყუჩებს კბილის ტკივილს და აჯანსაღებს პირის ღრუს. პიტნის ზეთი ხშირად გამოიყენება არომათერაპიაში.

# როგორი უნდა იყო ხანშიშესულთა და მოხუცებულთა კვება

ასაკის შესაბამისი ბალანსირებული კვება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე და მის სხვადასხვა სისტემაში განვითარებული ცვლილებების ხასიათზე.

ზოგ მკვლევარს მიაჩნდა, რომ შესაძლებელია, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 120 წელი იყოს. სხვა მკვლევარნი ფიქრობდნენ, რომ ადამიანმა შეიძლება 100 წელი იცოცხლოს.

მოხუცებულობა საერთო ბიოლოგიური კანონზომიერებაა, რომლის საფუძველზე ხდება ატროფიული და დეგენერაციული ცვლილებები. მოხუცებულობის გამომწვევი ერთ ერთი მთავარი ფაქტორია პროტოპლაზმის თვითგანახლების ინტენსიურობის დაქვეითება. დაბერების პროცესში პროტოპლაზმა ჰკარგავს ნუკლეოპროტეიდებს, ნუკლეინმჟავებსა და სხვა კომპონენტებს, რომლებსაც ახასიათებს ცილების სინთეზის და თვითგანახლების კარგი უნარი.

მოხუცებულობის პროცესში ატროფიული პროცესების შედეგად კუჭის ლორწოვანი გარსი თხელდება, მისი უჯრედები, მათ შორის, ლორწოვანიც, ნაკლებად დიფერენცირებული ხდება და უფრო გამარტივებულია, რაც იწვევს კუჭის სეკრეციული და მოტორული ფუნქციის დაქვეითებას. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია კუჭის მჟავიანობის და ფერმენტების კონცენტრაციის დაკლება და მათი აქტიურობის დაქვეითება, რაც გავლენას ახდენს კუჭის საჭმლის მონელების ფუნქციაზე და აგრეთვე ნაწლავური მიკროფლორის მდგომარეობასა და თვისებებზე, თავს იჩენს ლპობის მიკროფლასის სიუხვე.

ნაწლავში მიკრობთა პეიზაჟის ასეთი ცვლილებები იწვევს ლპობის პროდუქტების წარმოქმნას და მათი შეწოვის გაძლიერებას. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება კუჭქვეშა ჯირკვალშიც. მასში აღინიშნება აქტიური ელემენტების ატროფია, რომელიც იწვევს კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებას – მის მიერ წარმოქმნილი ფერმენტის მოქმედების უნარისა და რაოდენობის შემცირებას. განსაკუთრებით შესამჩნევად ქვეითდება პროტეოლიზური (ცილების მომნელებელი) აქტიურობა, შედარებით ნაკლებად – ამილოლიზის (ნახშირწყლების დაშლა) და ლაპოლიზის (ცხიმების მონელების) უნარი.

სიბერის განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენს ჰიპოკინეზია და ამით გამოწვეული ჭარბი წონა.

ხანში შესულთა კვების დაგეგმვის დროს აუცილებელია პირველ რიგში საჭმლის მომნელებელი სისტემის ფიზიოლოგიური უნარის დაქვეითების გათვალისწინება, ამიტომ ამ ასაკში უნდა შეიზღუდოს საკვების რაოდენობა; მეორე მოთხოვნაა ბიოლოგიურად სრულფასოვანი საკვებით უზრუნველყოფა. მესამე – მისი გამდიდრება ბუნებრივი ანტისკლეროზული ნივთიერებებით, რომლებსაც ზოგიერთი პროდუქტი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს. ხანშიშესულთა საკვები რაციონის კალორაჟი დღე ღამეში საშუალოდ 2200-2500 კ/კალ უნდა იყოს.



ხანშიშესულთა და მოხუცებულთათვის ცილაზე მოთხოვნილების განსაზღვრის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ყოფილი საბჭოთა კავშირის მედიცინის აკადემიის კვების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ ხანში შესული მამაკაცებისათვის ცილის ნორმად მიღებულია 80-90 გ, ქალებისათვის – 70-80 გ, აქედან ცხოველური ცილები უნდა შეადგენდეს რაციონის ცილების საერთო რაოდენობის 50% ს. მთლიან რაციონში უმჯობესია რძის პროდუქტთა ცილები. აზრი, თითქოს ცილების სიუხვე ხელს უწყობდეს არტერიული წნევის ამაღლებას, არ მართლდება.

მრავალი ავტორის მიერ დადგენილია ცხოველური ცხიმების ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების უარყოფითი გავლენა ცხიმოვან და ქოლესტერინის ცვლაზე, ამიტომ, მოხუცთა კვებაში აუცილებელია ცხოველური ცხიმების შეზღუდვა. ხანშიშესულთა კვებაში კარაქთან ერთად უნდა გამოიყენონ მცენარეული ზეთიც. დღე ღამეში 20-25 გრამ ზეთის მიღება უზრუნველყოფს ხანშიშესულთა ორგანიზმს პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავებით. მცენარეული ცხიმების დიდი რაოდენობით სისტემატური მიღება არასასურველია, რადგან ისინი შეიძლება შეიცავდეს ჟანგვის პროდუქტებს, რომლებიც ადვილად წარმოიქმნება მცენარეულ ცხიმებში უჯერო ცხიმოვანი მჟავების უხვი შემცველობის გამო.

ხანშიშესულთათვის ცხიმის საერთო რაოდენობა საკვები რაციონის ცილებზე 10% ით ნაკლები უნდა იყოს.

მოხუცთა ასაკში მცირე ფიზიკური დატვირთვის გამო ნახშირწყლების, განსაკუთრებით დაბალმოლეკულურის, რაოდენობა უნდა შემცირდეს. ამის საფუძველია ხანშიშესულთა და მოხუცთა ასაკში დაბალმოლეკულური ნახშირწყლების სიჭარბის ჰიპერქოლესტერინული მოქმედება და ნაწლავური სასარგებლო მიკროფლორის ფუნქციის მდგომარეობაზე მისი არასასურველი გავლენა.

ხანშიშესულთა ასაკში ნახშირწყლების წყაროდ სასურველია მთლიანი მარცვლეულის ფქვილის პროდუქტები (ჭვავის და ხორბლის პური) კარტოფილი და სხვა ბოსტნეული, აგრეთვე ის პროდუქტები, რომლებშიც უხვადაა უჯრედისი და პექტინური ნივთიერებანი. დადგენილია უჯრედისის დადებითი მოქმედება სასარგებლო მიკროფლორის ცხოველმყოფელობის ნორმალიზაციაზე.

უჯრედისი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოძევებას. პექტინური ნივთიერებით მოხუცთა ორგანიზმის უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოვიყენოთ შემწვარი ვაშლი, რომელშიც თერმული დამუშავების გამო პროტოპექტინიდან წარმოქმნილი პექტინის ხარჯზე ამ უკანასკნელის შემცველობა მნიშვნელოვნად მატულობს.

მოხუცებულობაში აღინიშნება ენდოგენური პოლიავიტამინური მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია ფერმენტული სისტემის გამოფიტვით და დისადაპტაციით. ამ ასაკში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ვიტამინებს, რომლებიც ანორმალიზებენ სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის მუშაობას. მონაწილეობენ სკლეროზული პროცესების დამამუხრუჭებელ რეაქციებში.

ზოგი მკვლევარის მონაცემებით, ვიტამინების განსაზღვრული კომპლექსები გავლენას ახდენს მოხუცებულის ორგანიზმში პროცესების განვითარებაზე, სისხლში ქოლესტერინის დონის ცვლილებებზე და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია ცე და პე ვიტამინები. ცე ვიტამინის გავლენით სტაბილური ხდება ფიზიოლოგიური თანაფარდობა ქოლესტერინის ბიოსინთეზსა და ქსოვილებში მის უტილიზაციას შორის. ჩ ვიტამინი გავლენას ახდენს ორგანიზმის რეაქტიულობაზე, აძლიერებს მას და დამცავ მექანიზმს. აუცილებელია ჩ ვიტამინის ნორმის დაცვა, ვინაიდან არსებობს მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ მისი ჭარბი რაოდენობა უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზმის ზოგიერთ სისტემაზე, კერძოდ, კუჭქვეშა ჯირკვლის ლანგერჰანსის კუნძულებზე. ბე ვიტამინზე მოთხოვნილება ამ ასაკში მატულობს, იმიტომ, რომ იგი დაბლა სწევს არტერიულ წნევას ჰიპერტონიული დაავადების დროს. ქოლინს, ინოზიტს, ბე12 ვიტამინს, ფოლუმმჟავას, ბე15 და ბე6 ვიტამინებს, პანთოტენმჟავას ახასიათებს გამოხატული ლიპოტროპიული თვისებები.

ხანშიშესულთა სისხლძარღვების კედლებსა და სახსრებში, ხრტილებსა და სხვა ქსოვილებში მარილების დაგროვების შემთხვევები და მარილოვანი ცვლის სხვა დარღვევები გვაიძულებს განსაკუთრებული სიფრთხილით განვსაზღვროთ მარილების ნორმა. ამ დროს აღწერილია მოხუცთა მარილების უკმარისობის გამო ოსტეოპოროზის შემთხვევებიც.

ხანში შესულთათვის მინერალურ ნივთიერებათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კალციუმი, რომლის ნორმა დღე ღამეში 800-100 მგ ია მეტად მნიშვნელოვანია მაგნიუმი, როგორც ანტისეპტიკური და სისხლძარღვების გამაფართოებელი, აგრეთვე ნაწლავის პერისტალტიკის და ნაღვლის გამოყოფის გამაძლიერებელი საშუალება; მაგნიუმი ასუსტებს გლოუვი კუნთის სპაზმებს და აჩერებს სისხლძარღვების სპაზმს, აფართოვებს მათ. არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ იგი გავლენას ახდენს სისხლში ქოლესტერინის შემცველობაზეც. მაგნიუმის ნაკლებობისას სისხლძარღვთა კედლებში იმატებს კალიუმის დონე და სისხლის პლაზმაში ქოლესტერინის შემცველობა. მისი დღეღამური დოზა 500-600 მგ-ია.

ხანში შესულთათვის მნიშვნელოვანია კალციუმიც, რომელიც აძლიერებს ორგანიზმიდან წყლისა და ნატრიუმქლორის გამოყოფას, ამავე დროს გულის კუნთის შეკუმშვასაც.

ხანში შესულთა კვებაში სასურველია კვების ტუტოვანი ორიენტაციის გაძლიერება რძისა და რძის პროდუქტების, კარტოფილის და სხვა ბოსტნეულისა და ხილის ხვედრითი წილის გადიდებით.

ხანშიშესულთა კვების რეჟიმის დადგენისას საჭიროა გავითვალისწინოთ საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციური შესაძლებლობების დაქვეითება, რის გამოც მისი დიდი დატვირთვა შეუძლებელი ხდება. კვების რეჟიმის ძირითადი პრინციპი დიდი რაოდენობით საკვების მიღების შეზღუდვა და საკვების მიღების დროს შუალედების გამორიცხვაა. სასურველია ოთხჯერადი კვება: I საუზმეზე რეკომენდებულია დღიური რაციონის 25%, II ზე – 5, სადილზე – 35, ვახშამზე – 25%.

## ასტროპროგნოზი
### 24 მარტისათვის



**ვერძი** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. შეეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **კურო** – საგრძნობლად აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა, ეს კი წარმატების წინაპირობაა. სარფიანი წინადადების წყალობით მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ ან თქვენთვის არასასურველ ადამიანებს საერთოდ გაეცალეთ. **კირჩხიბი** – ყოველგვარი შეხვედრა, საქმიანიც და პირადულიც, მომდევნო კვირისთვის გადადეთ. კარგი იქნება ფიზიკური ვარჯიში, მოგზაურობა. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზე გაქვთ. ბიზნესკონტაქტები გაამართლებს. ცრუ დაპირებების გაცემისაგან თავი შეიკავეთ. ზედმეტი ნდობა ადამიანების მიმართ დაგაზარალებთ. **ქალწული** – თქვენი სექსუალურობა და პიროვნული მომხიბვლელობა ზენიტშია. ოჯახში სტაბილური სიტუაცია გაქვთ. ფულის შოვნაში ხელს თქვენივე პრინციპები გიშლით. **სასწორი** – იაქტიურეთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ბიზნესსაქმიანობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **ღრიანკალი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. ბიზნესმენებმა დღეს იაქტიურეთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **მშვილდოსანი** – კარგი პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. გელით ფინანსური მოგება. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. **თხის რქა** – თქვენს საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. საღამოს ყოველგვარი კომერციული საქმიანობა აღკვეთეთ. **მერწყული** – თუ საქმეს დაიწყებთ, დაამთავრეთ კიდეც. სხვა პრობლემების მოგვარებაზე ნუ გადაერთვებით. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **თევზები** – რთული დღეა პროფესიული საქმიანობის თვალსაზრისით. შესაძლოა, გრძელვადიანი გეგმების შეცვლა მოგიხდეთ. მეგობრებისა და ახლობლების გამოცდილება ფასდაუდებელ დახმარებას გაგიწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. უძველესი ქართული სამეფო; 3. ტროპიკული ლერწამი, რომლისგანაც ამზადებდნენ საწერ მასალას ძველ ეგვიპტეში; 4. ხილის, ბოსტნეულის, ყვავილების სათბური; 5. ლხინი, დროსტარება; 6. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 14. მათემატიკის ნაწილი; 15. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 16. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 17. მონასტერი ახმეტის რაიონში; 19. პრივილეგიური, მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 21. ფრანგი მწერალი; 22. ჩინური ფინიკი.

**თარაზულად:** 1. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული; 7. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 9. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; 10. ოჯახის დედის სახელწოდება ძველად იტალიაში; 12. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. მძიმეწონიანი ტვირთების გადასაზიდი მისაბმელიანი ავტომობილი; 17. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 18. აღმოსავლური ტკბილეული; 20. მეტროს სადგური თბილისში; 22. მუზეუმი ფლორენციაში; 23. ჩინური, ლოგიკური, მაგიდის სათამაშო; 24. ზიარებისათვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი წითელი ღვინო; 25. საფოსტო ნიშანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბულა; 2. ომი; 3. ბოროდინი; 4. შუ; 5. ცუცხვათი; 6. „პელე"; 7. ლიბრეტო; 10. პესო; 11. ბალახვანი; 12. კაპიტანი; 13. ჯაზი; 16. სტამბა; 18. სუარესი; 19. შტანგა; 21. რაგბი; 24. მახრა.

**თარაზულად**: 1. ბაჯაღლო; 3. ბინოში; 8. თუშეთი; 9. ლაპი; 14. ასთმა; 15. „ზანავი"; 17. პუფი; 20. ნახირი; 22. თრუსო; 23. ტატამი; 25. კიი; 26. მოლა; 27. არვე; 28. ხორნაბუჯი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 2. ექოლოტი; 3. ეპიტაფია; 4. ადაპტაცია; 5. მძივი; 6. ოსკარი; 8. კვაისა; 11. ლომბერი; 14. ექსტერიერი; 15. წერეთელი; 16. „რეზონანსი"; 17. ყაურმა; 19. ალფონსი; 21. ტონგა; 22. „ბრუკი".

**თარაზულად**: 1. პენელოპა; 5. მუცო; 7. ტეკილა; 9. მოდიფიკაცია; 10. კალმარი; 12. არამისი; 13. ბოცვერი; 16; რარიტეტი; 17. ყავა; 18. ღალია; 20. ევერტონი; 22. ბიეფი; 23. კოლომბო; 24. „ნადური"; 25. გაგრა.

# „ნუ გვითვალთვალებთ!“

ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს ცნობილი წარმომადგენლები თვალთვალსა და ფარულ ჩანაწერებს აპროტესტებენ. მხატვრები, მომღერლები, მუსიკოსები, მწერლები, მსახიობები და ფოტოხელოვანები მოუწოდებენ ყველას, თავი დაანებონ სხვისი პირადი ცხოვრებით ცხოვრებას და საკუთარ საქმეს მიხედონ.



– ჩვენ არ გვინდა, რომ გვითვალთვალებდნენ, სხვის პირად ცხოვრებას თავს გვახვევდნენ და ამაზე ჩვენი რეაქციით ადამიანებს აშინებდნენ, არცხვენდნენ და აშანტაჟებდნენ! – ასეთია მოწოდება, რომელსაც ხელოვანები ავრცელებენ.

**არჩილ სოლოღაშვილი, მსახიობი:**

– ყველაფერს საზღვარი აქვს, ეს ჩემი პირადი სივრცეა!

**დათო ტურაშვილი, მწერალი:**

– ძალიანაც მაინტერესებს სხვისი პირადი ცხოვრება ოღონდ ლიტერატურაში, რადგან მწერალი ვარ. რეალურ ცხოვრებაში ადამიანის პირადი ცხოვრება პირადი უნდა იყოს!

**ნინო კასრაძე, მსახიობი:**

– მე არ დავუშვებ, რომ ჩემი რეაქციით ადამიანები შეაშინონ, შეარცხვინონ და დააშანტაჟონ!

**ლევან ყოჩიაშვილი, მსახიობი:**

– მე არ მეხება სხვისი პირადი ცხოვრება, მაგრამ მეხება ის, რომ მითვალთვალებენ!

**ნატო მეტონიძე, მუსიკოსი:**

– არ მაინტერესებდა და არ მაინტერესებს, არასოდეს მინახავს, არ ვნახე და არც ვნახავ!

**გიორგი ცაგარელი, მუსიკოსი:**

– ნუ გვითვალთვალებთ, გვიყურეთ მაშინ, როცა ეს ჩვენ გვინდა!

**ნიკოლოზ რაჭველი, მუსიკოსი:**

– მე არ ვიქნები იარაღი ადამიანების შესაშინებლად და დასაშანტაჟებლად!

**თეონა კონტრიძე, მუსიკოსი:**

– რაში მაინტერესებს სხვისი პირადი ცხოვრება, როცა ჩემი მაქვს ხუთიანზე!

**თეა დარჩია, მოცეკვავე:**

– ვინც არ უნდა იყო შენ და ვის დაკვეთასაც არ უნდა ასრულებდე, იცოდე, შენი ქმედება არ მუშაობს. პირიქით, მთელი საქართველო გაერთიანდა შენს წინააღმდეგ.

**ნანკა კალატოზიშვილი, მსახიობი:**

– მე არ მეხება სხვისი პირადი ცხოვრება, მაგრამ მეხება ის, რომ ადამიანებს ჩემი რეაქციით აშინებენ!

**გურამ წიბახაშვილი, ფოტოგრაფი:**

– ნუ მომახვევენ თავს სხვის პირად ცხოვრებას: არ მაინტერესებს, არ ვნახე და არ ვნახავ!

# სერგეი მაკოვეცკი თბილისში ჩამოდის

ევროპის საუკეთესო მსახიობის პრემიისა და 50-ზე მეტი ჯილდოს მფლობელი



სერგეი მაკოვეცკი თბილისში ჩამოდის.

წარმოშობით უკრაინელი, რუსეთის სახალხო არტისტი ქართველ მაყურებელს 25 მარტს თავის შემოქმედებით საღამოზე შეხვდება. მსახიობმა ამ საღამოს „შემთხვევით არ მოვსულვარ თქვენთან... სათქმელი რამ მაქვს...“ უწოდა.

ღონისძიება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქარი“ ინიციატივით მარჯანიშვილის თეატრში გაიმართება.

სერგეი მაკოვეცკი თბილისში ფესტივალის „საჩუქარი“ ეგიდით ორი წლის წინ ჩამოვიდა. მან მონაწილეობა მიიღო რიმას ტუმინასის მიერ დადგმულ სპექტაკლში „ძია ვანია“ და თავისი პროფესიონალიზმით ქართველი მაყურებელი კიდევ ერთხელ გააკვირვა.

ამჯერად ხელოვანი საქართველოს დედაქალაქს შემოქმედებითი საღამოთი ესტუმრება და იმ სათქმელს გაუმხელს, რომელიც მხოლოდ ქართველ მაყურებელს ეკუთვნის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# რა იცის საქართველოზე შოთა რუსთაველის ორეულმა?

ბოლო დღეებში ინტერნეტი ბრიტანელი მოდელის რიჩარდ ბიდულის და შოთა რუსთაველის ერთობლივი ფოტოებით აჭრელდა. ქართველები მათ დაუჯერებელ მსგავსებაზე გაუთავებლად საუბრობენ, თავად მოდელი კი საჯაროდ აცხადებს, რომ ის და რუსთაველი ნამდვილად დაბადებისას გააცალკევეს:

– გამოდის, რომ დაახლოებით, 800 წლის ვარ. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ასე გავჭაღარავდი.



რიჩარდ ბიდულმა ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოზე თითქმის არაფერი იცის, სამაგიეროდ, მისთვის ცნობილია ქართველი ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე, რომელიც თავისი დროის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.

შოთა რუსთაველის ორეულთან ინტერვიუ ინტერნეტში გავრცელდა:

**– შენ ქართული ინტერნეტსივრცე ააფეთქე. ყველა აზიარებს შენს ფოტოს, სადაც შოთა რუსთაველს გაჭრილი ვაშლივით ჰგავხარ. ელოდი, რომ შენს ხუმრობას ასეთი შედეგი ექნებოდა?**

– ფოტო ვნახე ინტერნეტში და საკუთარ გვერდზე დავდე. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთ ემოციებს გამოიწვევდა ქართველებში.

**– მოგწონს გარეგნულად შოთა რუსთაველი?**

– კი! ვერ ვიჯერებ ასეთ მსგავსებას. ტანსაცმელიც კი მსგავსია. წარმოუდგენელია, რომ 800 წლის წინ ცხოვრობდა.

**– როგორ შეიტყვე მის შესახებ?**

– ფოტოზე მომნიშნეს, შემდეგ კი დავგუგლე მისი სახელი.

**– ალბათ დაგაინტერესა მეტის გაგება ადამიანზე, რომელსაც ასე გავხარ. გაქვს სურვილი წაიკითხო მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“?**

– ვიკიპედიაზე წავიკითხე მის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა საქართველოს ისტორიაში. ჯერ არ მომცემია საშუალება „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვის, მაგრამ რამდენიმე დღეში გერმანიაში მივდივარ და აუცილებლად წავიკითხავ პოემას თვითმფრინავში.

**– გყავს ქართველი მეგობრები? რა იცი ზოგადად ამ ქვეყნის შესახებ?**

– საქართველოზე ცოტა რამ ვიცი და მგონი, არც ქართველს ვიცნობ არავის. თუ არ ჩავთვლით ცნობილ ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძეს, რომელიც მანჩესტერ სითიში თამაშობდა, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი. ძალიან მაგარი ფეხბურთელი იყო და ყველას უნდოდა მას დამსგავსებოდა.

**– გაქვს საქართველოს მონახულების სურვილი? იქ უკვე მრავალრიცხოვანი ფანკლუბი გელის.**

– რასაკვირველია. თქვენს ქვეყანას ძალიან მდიდარი ისტორია აქვს და მინდა მეტი შევიტყო მის შესახებ პირველწყაროდან.

**– მოგვიყევი შენს შესახებ. რამდენი ხანია სამოდელო ბიზნესში ხარ?**

– სანამ მოდელი გავხდებოდი, ხუთი წელი ლონდონში ადვოკატად ვმუშაობდი. შემთხვევით სამოდელო სააგენტოს აგენტმა შემამჩნია პაბში. უკვე სამი წელია მოდელი ვარ და ეს საოცარი გამოცდილებაა. მსოფლიო მოვიარე და ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი. ისეთ ბრენდებთან მაქვს ნამუშევარი, როგორიცაა „არმანი“, „კანალი“ და „ლა პერლა“.

**– რას ეტყოდი შოთა რუსთაველს, მასთან შეხვედრა რომ შეგძლებოდა?**

– ალბათ ვკითხავდი, სად შეიძინა თავისი არაჩვეულებრივი ქუდი. მეც მინდა ასეთი!

# ვასილ კიკნაძე გარდაიცვალა

ცნობილი თეატრმცოდნე, არაერთი თაობის აღმზრდელი და ქართული თეატრის დიდი მოამაგე ვასილ კიკნაძე 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.



**ინფორმაცია, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ გაავრცელა:**

– ბატონი ვასო კიკნაძე გარდაიცვალა!!! დღეს საავადმყოფოში ხელებით მანიშნა დამთავრდა ყველაფერიო, ღიმილით დამემშვიდობა და რამდენიმე საათში წავიდა კიდეც. კაცი, რომელმაც თეატრის სიყვარული მასწავლა და პროფესიაში გზა გამიკვალა. წავიდა ადამიანი, რომელმაც ქართულ თეატრს 47 წიგნი მიუძღვნა და უამრავი სტუდენტი აღუზარდა. მშვიდობით ბატონო ვასო...

ვასილ კიკნაძის სახელთან არის დაკავშირებული ქართული თეატრის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები. წლების მანძილზე იგი რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე იყო, მუშაობდა თეატრალური უნივერსიტეტის პრორექტორად და თეატრმცოდნეების არაერთი თაობა აღზარდა.

ვასილ კიკნაძეს ეკუთვნის 50-მდე წიგნი და მონოგრაფია ქართული თეატრის ისტორიის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი სანდრო ახმეტელის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის მიმართულებით.

**დიმიტრი ხვთისიაშვილი, რეჟისორი, მოზარდმაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:**

– ბატონი ვასილ კიკნაძე მარადისობის კუთვნილებაა! მისი წიგნის „წამებული რაინდების“ მიხედვით ჩვენს თეატრში დაიდგა სპექტაკლი „რეკვიემი“. ჩვენივე თეატრში აღინიშნა მისი დაბადებიდან 85-ე წლისთავი. რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს მასზე წარსულ დროში გვიწევს საუბარი! ხსოვნა და არდავიწყება ქართული თეატრის დიდ ქურუმს, დიდ ჭირისუფალს. მისი ფასდაუდებელი ღვაწლი დიდხანს იქნება მაგალითის მიმცემად მომავალი თაობის თეატრმცოდნეთათვის და მკვლევართათვის.

## სამგლოვიარო განცხადებები



ბორის და ანატოლი ჯოლოგუები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი და

### რიდი ჯოლოგუა-ენგურელი

პანაშვიდი: 24, 25 მარტს, 17 საათზე, ქ.თბილისი, ნუცუბიძის IV მიკრორაიონი, 55-ე კორპუსი, V სართული, ბინა 60.

გამოსვენება: შაბათს, 26 მარტს, 15 საათზე, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე წმინდა სამების ტაძრიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ხუთშაბათი**
**24 მაიტი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე** **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ფროსტი ნიქსონის წინააღმდეგ**"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **11.00** დ/ფ "ანატოლიის გარგარი" **13.00** დ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **10** სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** სერ. "**ტრანსპორტერი**" **7**" **8** სერ. **02.00** მხ/ფ. "**ბორტზე ბავშვია**" (ჰ.გრეჰემი) **03.30** ერთხელ საქართველოში

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ."**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.00** კურიერი **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**9.00, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30, 15.30** Discovery - მენტალისტი კით ბარი **10.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძვლები**" Discovery - მენტალისტი კით ბარი **16.30** საუკეთესო ხელნაკეთი **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.30 20.30 22.00** ბინა **18** **23.00** მხ/ფ "**ორმაგი უსიამოვნება**" **0.40 ID Extra** - მოჩვენებებით შეპყრობილი **1.40, 3.15** URBAN STORIES **2.20** ჯიდიპედია

**06.15** პატერიკი **06.25** სჯანი **06.40** ქართული ალბომი **07.05** დ/ფ "უმორჩილესად გთხოვთ" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **12.20** მხ/ფ "**ძახილი**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კატესტემონია" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ ან/ფ. **15.40** ყველაზე, ყველაზე..."სახიფათო პროფესიები" **15.50** დ/ფ "ერთი ოჯახის ქრონიკები-კარბელაშვილები" **16.40** ჩვენი ფონდი **17.10** დ/ფ "იერუსალიმის ქვა" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.10** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა "ორი ბავშვის განკურნება" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.40** ფსალმუნის განმარტება **21.45** განთიადის სიუჟეტი **22.00** სიახლენი **22.25** დ/ფ **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05, 5.00** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30,** სერ. "**ხელშეუხებელნი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2954 |
| ევრო | 2.5738 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2785 |
| 100 რუსული რუბლი | 3.3836 |

**ამინდის პროგნოზი 24 მარტისთვის**





## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ 25 მარტიდან




# იესო ქრისტეს შობა

წიგნი შედგენილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

## გაზეთი ახალი თაობა წარმოგიდგენთ სერიას

# ნობელიანტები ლიტერატურაში

26 მარტიდან — ერნესტ ჰემინგუეი. იქ, მიღმა ბანში

2 აპრილიდან — თომას მანი. ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება

9 აპრილიდან — ჯონ გოლზუორთი. ფორსაიტების ხსნა

## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ




# წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა

1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება

8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები

22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა

29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა




ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი


# კრისტიან ბენტეკე ლივერპულში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა



ლივერპულის ბელგიელმა ფორვარდმა კრისტიან ბენტეკემ განაცხადა, რომ რთულია ისეთ გუნდში თამაში, სადაც მწვრთნელი შენზე აქცენტს არ აკეთებს.

ბენტეკემ ბოლო თამაშებში ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და აშკარაა, რომ ის იურგენ კლოპის სათამაშო სქემაში არ ჯდება. ბენტეკეს თქმით, მას რომ სცოდნოდა, რომ მოვლენები ზუსტად ასე განვითარდებოდა, არ გადავიდოდა ლივერპულში და რომელიმე სხვა გუნდს აირჩევდა.

ლივერპულამდე ბენტეკე ასტონ ვილაში თამაშობდა, სადაც ერთ-ერთი ლიდერი იყო. ბენტეკეს ყიდვით ვესტ ჰემია დაინტერესებული და თუ ბელგიელის მდგომარეობა ლივერპულში არ შეიცვლება, მომავალ წელს ის, სავარაუდოდ, ვესტ ჰემის ფორმას მოირგებს.



## იუმორი

სამუშაოზე მიღების მსურველს კადრების განყოფილების უფროსი ეკითხება:

– თქვენი გვარი?
– მამამამალაძე.
– ენაბლუ ხართ?
– არა, ენაბლუ მამაჩემი იყო, ხოლო პასპორტისტი ჩა...ი!

●●●

გვიან ღამით პატრული მანქანას აჩერებს და მამაკაცს ეკითხება:

– ბატონო, ხვდებით, რომ თქვენი მანქანა გზაზე ზიგზაგებით დადის?
– დიახ, ოფიცერო, მაპატიეთ, რვა ჭიქა მაქვს დალეული და...
– მაგრამ ეს იმის საბაბად არ გამოდგება, რომ საჭესთან მეუღლე დასვათ!

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მე შენ მიყვარხარ.
– მადლობა.
– კი მაგრამ, მე სხვა პასუხს ველოდი...
– დიდ მადლობას?

●●●

პაციენტი ექიმს მიმართავს:

– ექიმო, ეფექტური გასახდომი საშუალება მჭირდება.
– რა პრობლემაა, ნახშირს გამოგიწერ.
– ფხვნილია თუ აბები?
– ტომრები, ვაგონებს დაცლი.

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

– რომელ ორგანოებში გროვდება ყველაზე მეტი პარაზიტები?
– რა თქმა უნდა, სახელმწიფო ორგანოებში.

●●●

ერთი სოფლელი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, მურთხა კოლამ იგეთი ცოლი მოიყვანა, რომ ვირმა ჯადოს გაკეთება დაუწყო...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## კალეიდოსკოპი

# „ადამიანი-ობობა“ ისევ აცოცდა პარიზის ცნობილ ცათამბჯენზე

ფრანგი ალენ რობერი, რომელიც „ადამიანი-ობობას“ სახელითაა ცნობილი, პარიზის საქმიან კვარტალ „ლა დეფანსში“ მდებარე ცათამბჯენ ტოტალზე აცოცდა. მას ცათამბჯენის დასაპყრობად 45 წუთი დასჭირდა.

1994 წლიდან მოყოლებული, რობერი უკვე მეხუთედ აცოცდა ფოლადისა და მინისგან აგებულ ცათამბჯენზე,



სადაც ნავთობის კორპორაცია ტოტალის ოფისია განთავსებული. მანამდე რობერმა იმავე კვარტალში კიდევ რამდენიმე ცათამბჯენი დაიპყრო.

187 მეტრის სიმაღლის ცათამბჯენზე ასვლის დროს რობერს ეცვა მაისური, რომელზეც გაკეთებული იყო გამოსახულება, რომელიც გამელოტებასთან ბრძოლის ეროვნულ დღეს ეძღვნებოდა და რომელიც 24 მარტს აღინიშნება. თავად 53 წლის „ადამიანმა-ობობამ“ თმის გადანერგვის ოპერაცია რამდენიმე წლის წინ გადაიტანა.

ცათამბჯენზე ასვლის დასრულების შემდეგ ტრადიციულად რობერი პოლიციელებმა დააკავეს, დაკითხეს და შემდეგ გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ თავის კარიერაში „ადამიან-ობობას“ 100-ზე მეტი მაღლივი ნაგებობა აქვს დაპყრობილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორისაა დუბაის „ბურჯ-ჰალიფა“, რომლის სიმაღლე 828 მეტრია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სუარესი და ნეიმარი დანიძლავდნენ

ბარსელონას სუპერ ტრიოს ორი ფეხბურთელი ლუის სუარესი და ნეიმარი მალე მოედანზე ერთმანეთის წინააღმდეგ გამოვლენ. ბრაზილიის ნაკრები საკუთარ მოედანზე ურუგვაის მიიღებს და ეს შეხვედრა უდიდეს ინტერესს იწვევს.

ლუის სუარესს თავის ნაკრებში 2014





წლის ზაფხულის შემდეგ არ უთამაშია, რადგან დისკვალიფიკაცია ჰქონდა. ყველას კარგად ახსოვს ინციდენტი, როდესაც სუარესმა ჯორჯო კიელინის უკბინა. შეხვედრა პარასკევს გვიან ღამით გაიმართება და ნეიმარმა იხუმრა, რომ ის და სუარესი დანიძლავდნენ, თუ ვინ იქნება ამ მატჩში გამარჯვებული, ხოლო ვინც ნიძლავს მოიგებს, მისი ჯილდო ერთი ჰამბურგერი იქნება.

ნეიმარმა დაამატა, რომ ეს უფრო ხუმრობაა და ის ურუგვაის ნაკრების წინააღმდეგ მატჩისთვის სრული სერიოზულობით ემზადება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სუფთა, მაღალხარისხოვანი ღვინო; 2. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 3. მოკლელულიანი შაშხანა; 4. კუთხური მიმართვა მამაკაცისადმი კახეთში; 5. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 6. ხის ქოშები; 7. მონასტერი ქსნის ხეობაში; 10. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 11. არქიტექტურულ-სკულპტურული ნაგებობა; 12. ტკბილი სასმელი; 13. მამალი ცხვარი; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 19. დიდი ღელვა ზღვაზე; 21. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 24. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული ხე, რომლისგანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს.

**თარაზულად:** 1. მსუბუქი ავტომობილების კონსტრუქტორი ამერიკელი ინჟინერი; 3. ერთბინიანი, მანსარდიანი პატარა სახლი; 8. ძალზე მტკიცე მინერალი; 9. უკუდო მაიმუნი; 14. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 15. კოლუმბიის დედაქალაქი; 17. ეგრისის მეფე; 20. პატიოსნება, სინდისი; 20. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 23. რომელიმე დარგის საწარმოთა გაერთიანება; 25. ფუტკრის სადგომი; 26. გადამდნარი კარაქი; 27. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 28. სამშობლოდან განშორების სევდა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*